დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის რეგისტრიდან მიღებული იქნა მონაცემები ქ.თბილისში 1998-2007 წლებში საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის (ICD-10: C53) 2,685 შემთხვევის შესახებ. ჩატარდა დესკრიპტული ეპიდემიოლოგიური კვლევა. 2002-2004 წლებში რეგისტრირებული იქნა თბილისელი მოქალაქეების გარდაცვალების სულ 33,478 შემთხვევა, მათ შორის: 16,705 (49,9%) მდედრობითი სქესის და 16,773 (50,1%) მამრობითი სქესის ანუ თბილისში საშუალოდ ყოველწლიურად კვდება 11,000-ზე მეტი (~11,160) მოქალაქე, რაც შეადგენს დედაქალაქის მოსახლეობის საერთო რაოდენობის 1%-ს. თბილისელ მოქალაქეთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობამ შეადგინა 66 წელი, მათ შორის ქალების- 70 წელი, ხოლო მამაკაცების- 62 წელი. ავთვისებიანი სიმსივნეების მიზეზით გარდაცვალების შემთხვევებს, ცირკულატორული სისტემის შემდეგ, ორივე სქესში ეკავა რანგით II ადგილი და გარდაცვალების სტრუქტურაში მისმა ხვედრითმა წონამ ქალებში შეადგინა 18%, ხოლო მამაკაცებში- 15%. თბილისის ქალთა მოსახლეობაში სიკვდილის 10 ძირითადი მიზეზიდან 9 დაკავშირებულია ცირკულატორული სისტემის დაავადებებთან. გარდაცვალების ძირითად მიზეზს ასევე წარმოადგენს ძუძუს კიბო (ICD-10: C50), რომელსაც ყველა ასაკის თბილისის ქალთა მოსახლეობის სიკვდილის 10 ძირითად მიზეზს შორის რანგით უკავია IV ადგილი და მისი ხვედრითი წონა შეადგენს ყველა მიზეზით გარდაცვლილთა 5%-ს. 2002-2004 წლებში რეგისტრირებული იქნა ძუძუს კიბოს მიზეზით გარდაცვალების სულ 845 შემთხვევა, ანუ დედაქალაქის ყოველ 100,000 ქალ მოსახლეზე უხეში მაჩვენებლის მიხედვით ამ მიზეზით ყოველწლიურად გარდაიცვლება 48, წლოვანების მიხედვით სტანდარტიზებული (მსოფლიო სტანდარტი) მაჩვენებლის მიხედვით- 33, ხოლო წლოვანებით გასწორებული (თბილისის სტანდარტი) გარდაცვალების მაჩვენებლის მიხედვით- 43. თბილისელ ქალებში დაბადებიდან 65 წლის ასაკამდე, ანუ მთელი ცხოვრების მანძილზე, ძუძუს კიბოს მიზეზით გარდაცვალების კუმულაციურმა რისკმა შეადგინა 65. ქ.თბილისში საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის მიზნით რეკომენდებულია: ქ.თბილისში სკრინინგ-გამოკვლევა ყოველწლიურად ჩაუტარდეს ქალთა 100,000-იან კონტიგენტს; 25-64 წლის ასაკობრივ ჯგუფის ქალებში 3 წელიწადში ერთხელ PAP ტესტის საშუალებით სკრინინგის ჩატარება; 25-64 წლის ასაკის ქალების სამედიცინო დაზღვევის შემთხვევაში, სადაზღვევო კომპანიებმა აუცილებლად გაითვალისწინონ PAP ტესტის ჩართვა საერთო სადაზღვევო პაკეტში; ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა; სქესობრივი ცხოვრების დაწყებამდე გოგონების HPV-ს საწინააღმდეგო ვაქცინაცია.

**აბრევიატურა:** ICD-დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაცია, HPV-ადამიანის პაპილომა ვირუსუსი, PAP-პაპანიკოლაუს ტესტი.

**საკვანძო სიტყვები:** ეპიდემიოლოგიური შეფასება, კიბოს ტვირთი, ცირკულატორული სისტემა, საშვილოსნოს ყელის კიბო, ძუძუს კიბო, სკრინინგი, ადამიანის პაპილომა ვირუსუსი, ვაქცინაცია, სადაზღვევო სფერო, თბილისი.

## საშვილოსნოს ყელის კიბოს გავრცელება, რისკები და მათი მართვა

თეონა გაბეშია<sup>1</sup>, მირანდა ნონიკაშვილი<sup>2</sup>, რამაზ ურუშაძე<sup>3</sup>

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი<sup>1,2</sup>

საქართველოს უნივერსიტეტი, ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა<sup>3</sup>

<sup>1</sup>სტუდენტი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტი; <sup>2</sup>სტუდენტი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტი; <sup>3</sup>ხელმძღვანელი: საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დეპარტამენტის უფროსი

შესავალი: საშვილოსნოს ყელის კიბო დღეს მთელ მსოფლიოში ქალთა ჯანმრთელობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა. განვითარებად ქვეყნებში ის ქალების ყველაზე გავრცელებული სიმსივნეა. აღსანიშნავია, რომ საშვილოსნოს ყელის კიბოს თავიდან აცილება შესაძლებელია სკრინინგითა და HPV ვაქცინაციით. სკრინინგი ისევე, როგორც ვაქცინაცია საშვილოსნოს ყელის კიბოს წინააღმდეგ საბრძოლველად უმნიშვნელოვანესი ღონისძიებაა. დაახლოებით ერთ მილიონზე მეტი ქალი მსოფლიოს მასშტაბით ცხოვრობს საშვილოსნოს ყელის კიბოს დაავადებით. ბევრს ხელი არ მიუწვდება ჯანმრთელობის ისეთ მომსახურებაზე, როგორებიცაა პრევენცია, მკურნალობა ან პალიატიური ზრუნვა. საშვილოსნოს ყელის კიბო არის ადამიანის პაპილომავირუსით (HPV) ხანგრძლივად მიმდინარე ინფიცირების შედეგი. საშვილოსნოს ყელის კიბოს განვითარება დამახასიათებელია დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნების (>80%) მოსახლეობისათვის. მიზანი: კვლევის მიზანია განისაზღვროს მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე და ხელმისაწვდომობა იმ პროფილაქტიკური ღონისძიებებისადმი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება, ასევე, გამოიყოს ის ძირითადი პრობლემები, რომელიც პროგრამის განხორციელებას უშლის ხელს. ჩვენ მიერ შედგენილი კითხვარის მეშვეობით გამოიკითხა 161 ქალი, რომელთა ასაკობრივი კატეგორიაა 20-60 წ. მათ შორის 54% აღმოჩნდა ინფორმირებული საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციული ღონისძიებების შესახებ. კვლევის მეთოდი: ინტერნეტ გამოკითხვა; ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის, სსიპ. ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონაცემთა შეფასება და ეროვნული სკრინინგ ცენტრის წლიური ანგარიშების ანალიზი; კვლევის შედეგი: ძირითადი პრობლემა არის დაბალი ინფორმირებულობის დონე. ჩვენ მიერ შედგენილი კითხვარის მეშვეობით გამოიკითხული 161 ქალისგან, მხოლოდ 54% აღმოჩნდა ინფორმირებული საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციული ღონისძიებების შესახებ. 74%-ს არც თვითონ და არც მის ოჯახის წევრს არ უსარგებლია ეროვნული სკრინინგ პროგრამით გათვალისწინებული მომსახურებით. 93%-ს არ აქვს ჩატარებული პაპილომავირუსის საწინააღმდეგო საყოველთაო ვაქცინაცია. დასკვნა: ბოლო წლებში ავადობის მაჩვენებელი შედარებით შემცირდა, რადგან კვლევის ახალი მეთოდების შემოღებამ შესაძლებელი გახადა კიბოს ადრეული დიაგნოსტიკა. საწყის ეტაპზე ამ დაავადების მკურნალობა საკმაოდ ეფექტიანია: ქალს მკვეთრად უხანგრძლივდება სიცოცხლე, შეუძლია შეინარჩუნოს ნორმალური ცხოვრების წესი, შრომის და რიგ შემთხვევებში შვილოსნობის უნარიც.

**აბრევიატურა:** HPV- ადამიანის პაპილომა ვირუსი

**საკვანძო სიტყვები:** საშვილოსნოს ყელის კიბო, ადამიანის პაპილომა ვირუსი, ვაქცინაცია.

## ფილტვის კიბოს გავრცელება, რისკები და მათი მართვა

ვალერი კედელაძე<sup>1</sup>, თეა გამეზარდაშვილი<sup>2</sup>

საქართველოს უნივერსიტეტი, ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა  
<sup>1</sup>სტუდენტი ბაკალავრი, ჯანდაცვის ადმინისტრირება; <sup>2</sup>ხელმძღვანელი, მედიცინის აკადემიური  
დოქტორი, პროფესორი

Globalcancer-ის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით 2012 წელს მსოფლიოში 14.1 მლნ კიბოს შემთხვევა დაფიქსირდა, საიდანაც ფილტვის კიბოს პროცენტული მაჩვენებელი 13% - ყველაზე მაღალი იყო. ფილტვის კიბოს გავრცელება გეოგრაფიული დაყოფის მიხედვით შემდეგია: აღმოსავლეთ ევროპაში მისი გავრცელების სიხშირე 53 ყოველ 100,000 კაცზე. ასევე საკამოდ მაღალი მაჩვენებელია აღმოსავლეთ აზიაში 50,1 ყოველ 100,000 კაცზე. საგრძნობლად დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება ცენტრალური და დასავლეთ აფრიკა, შესაბამისად, 2.0 და 1.7 ყოველ 100,000 კაცზე. გაანალიზებული იქნა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის 2013 წლის სტატისტიკური მონაცემები, რის მიხედვითაც 2013 წლის ბოლოს ტრაქეა, ბრონქების და ფილტვის ავთვისებიანი სიმსივნეების დიაგნოზით აღრიცხვაზე იმყოფებოდა 1233 ავადმყოფი (პრევალენტობა - 27.5). პირველადი დადგენილი დიაგნოზით რეგისტრირებულ ავადმყოფთა შორის 83.9% მამაკაცი იყო (ინციდენტობა მამაკაცებში - 18.9). ინციდენტობის მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 18.6% გაიზარდა. მამაკაცებში ავთვისებიანი სიმსივნეების ახალი შემთხვევების 18.5% ფილტვის სიმსივნეებზე მოდიოდა. უკანასკნელი წლების განმავლობაში ფილტვის ახლად გამოვლენილი ავთვისებიანი სიმსივნეების საერთო რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა I და II სტადიაზე, გამოვლენილი შემთხვევების წილი შესაბამისად შემცირდა III და IV სტადიაზე. ახლად გამოვლენილი შემთხვევებში დიაგნოზის დადგენიდან პირველ წელს გარდაიცვალა 27.4%. ფილტვის კიბოს შემთხვევების 3% I სტადიაზე მოდიოდა, 10% - II, 17% - III, ხოლო 70% - IV-ზე.

**საკვანძო სიტყვები:** ფილტვის კიბო, ავთვისებიანი სიმსივნეებიური დაავადებები, პრევალენტობა, ინციდენტობა, კლინიკური სტადიები.



## ფილტვის კიბოს რისკის ფაქტორები

ვერონიკა ცეცხლაძე<sup>1</sup>, ოთარ ვასაძე<sup>2</sup>

საქართველოს უნივერსიტეტი, ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა

<sup>1</sup>სტუდენტი ბაკალავრი, ჯანდაცვის ადმინისტრირება; <sup>2</sup>ხელმძღვანელი, მედიცინის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

21 საუკუნეში ერთ-ერთ მნიშვნელოვან და აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს ფილტვის კიბო. ფილტვის კიბო ბრონქებისა და უფრო წვრილი კალიბრის სასუნთქი გზების ლორწოვანი გარსებიდან განვითარებული ავთვისებიანი სიმსივნეა. ბოლო წლების სტატისტიკის მიხედვით, ფილტვის კიბოთი დაავადებულთა რიცხვი ყოველწლიურად მატულობს. 2012 წელს ფილტვის კიბოს 1.8 მლნ. ახალი შემთხვევა (ახალი შემთხვევების 12.9%) გამოვლინდა, რომელთა 58%-ს ადგილი ჰქონდა დაბალი შემოსავლების ქვეყნებში. იგი მამაკაცთა შორის ყველაზე გავრცელებული ონკოლოგიური დაავადებაა (1.2 მლნ., მამაკაცთა შორის ონკოლოგიურ სნეულებათა ახალი შემთხვევების 16.7%), ყველაზე მაღალი ავადობის მაჩვენებელი ვლინდება ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში (100,000 მამაკაცზე 53.5) და აღმოსავლეთ აზიაში (50.4). ბოლო ანგარიშის მიხედვით, რომელსაც ამერიკის კიბოს საზოგადოება აქვეყნებს, დღეს ქალებში კიბოთი გარდაცვალების ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად ფილტვის კიბო გვევლინება, ასევე ფილტვის კიბო შეერთებულ შტატებში მამაკაცების კიბოს სიკვდილიანობის შემთხვევებითაც პირველ ადგილზეა. მთლიანად მსოფლიოში კიბოთი გარდაცვლილი ყოველი ხუთი ადამიანიდან ერთი სწორედ ფილტვის კიბოთი იღუპება: 1.59 მლნ. საქართველოში ონკოლოგიურ დაავადებით 33 ათასი ადამიანი მკურნალობს, ხოლო ყოველწლიურად ქვეყანაში 7 ათასი ახალი შემთხვევა აღირიცხება. საქართველოში კიბოს დაახლოებით 3500 ადამიანის სიცოცხლე ეწირება. მამაკაცები ფილტვის კიბოთი ქალებზე 7-10-ჯერ უფრო ხშირად ავადდებიან. დაავადების სიხშირე ასაკის პროპორციულად იმატებს - 60-69 წლის მამაკაცებს შორის ავადობა 60-ჯერ მეტია, ვიდრე 30-39 წლის ასაკში. დაავადების გამოწვევ რისკ ფაქტორებთან უმთავრესი თამბაქოს მწველობაა. სიგარეტის მოწევა განაპირობებს ფილტვის კიბოს შემთხვევათა დაახლოებით 90%-ს. განსაკუთრებით მაღალი რისკის მქონე ჯგუფს მიეკუთვნებიან 50 წელს გადაცილებულები. თამბაქოს ბოლი საშიშია არამწვევლთათვისაც. ფილტვის კიბოთი დაავადების რისკი მნიშვნელოვნად მატულობს, როცა თამბაქოს მოწევა შერწყმულია სხვა კანცეროგენული ფაქტორების ზემოქმედებასთან, განსაკუთრებით - დიდ ქალაქებში, სადაც ჰაერი ისედაც გაჯერებულია გამონაბოლქვი და ნამწვავი აირებით. ასევე დიდ ზეგავლენას ახდენს ნიკელის მტვერი, ქრომისა და დარიშხანის ნაერთები. საწარმოო მტვერით გამოწვეული პნევმოკონიოზები საკმაოდ ხშირად რთულდება ფილტვის კიბოთი. დაავადების განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს სასუნთქი სისტემის მდგომარეობას, დაავადებისადმი განწყობა რამდენადმე იმატებს ქრონიკული ბრონქიტის, ქრონიკული პნევმონიის, ტუბერკულოზის ან პნევმოსკლეროზის შედეგად ფილტვის პარენქიმაში განვითარებული ნაწიბუროვანი ცვლილებები. ფილტვის კიბო ხასითდება პოლიმორფული კლინიკური ნიშნებით და სურათი უმთავრესად სიმსივნის განვითარების სტადიაზე დამოკიდებული. დაავადება სამ ეტაპად ვითარდება: პირველი პერიოდი სიმსივნის განვითარების დასაწყისის მოიცავს და ამ დროს სიმსივნის ნიშნები რენტგენულად არ ვლინდება. მეორე, უსიმპტომო ანუ კლინიკური ნიშნების გამოვლენამდე სიმსივნის ნიშნები მხოლოდ რენტგენულ გამოსახულებაზე ჩანს, ხოლო მესამე ანუ კლინიკურ პერიოდში, სიმსივნის ნიშნები უკვე დაავადებისთვის დამახასიათებელი სიმპტომების სახითაც იჩენს თავს. დაავადების ყველაზე ხშირი სიმპტომებია: გახანგრძლივებული ხველა მშრალი ან მცირე რაოდენობის ნახველის გამოყოფით, სისხლიანი ხველა (ხშირად უკვე დაავადების შორსწასული ფორმის მაუწყებელია), სხეულის ტემპერატურის მატება, ტკივილი გულმკერდის არეში, სუნთქვის უკმარისობა, საერთო სისუსტე და ქოშინი, მადის დაკარგვა, სახის შეშუპება და ხმის ჩახლეჩვა, წონის კლება. დაავადების პრეცეპციისთვის მნიშვნელოვანია: შეიზღუდოს ცხიმი კვების რაციონში, უარი ითქვას თამბაქოსა და ალკოჰოლის მიღებაზე, მოვერიდოთ მზის სხივებს, მივიღოთ მეტი A და C ვიტამენების და ბოჭკოვანი შემცველობის საკვები. ვინაიდან მკურნალობა ძვირადღირებულია და დღევანდელი სოციალური მდგომარეობა პაციენტებს მისი ჩატარების საშუალებას არ აძლევს, სახელმწიფომ შემოიღო დაფინანსების პროგრამული ფორმა. 60 წელს გადაცილებული პაციენტების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის 90%-ს, ხოლო 60 წლამდე - 70% სახელმწიფო აფინანსებს.

## საქართველოში ფარისებრი ჯირკვლის კიბოს გავრცელება

მაკა რობაქიძე<sup>1</sup>, მაია კერესელიძე<sup>2</sup>, ნათია სხვიტარიძე<sup>3</sup>

საქართველოს უნივერსიტეტი, ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა<sup>1,3</sup>  
დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

<sup>1</sup>სტუდენტი ბაკალავრი, ჯანდაცვის ადმინისტრირება; <sup>2</sup>ხელმძღვანელი, მედიცინის აკადემიური  
დოქტორი, სტატისტიკის დეპარტამენტის უფროსი; <sup>3</sup>ხელმძღვანელი, ჯანდაცვის მენეჯმენტის  
დეპარტამენტის უფროსი, დოქტორანტი

მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეულებიდან მოყოლებული, მსოფლიო მასშტაბით საგრძნობლად იმატა ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ინციდენტობის მაჩვენებელმა. საქართველო არ წარმოადგენს გამონაკლის ამ ტენდენციიდან და შესაბამისად ამ ნოზოლოგიის კიბოს ზრდა დაფიქსირდა. მნიშვნელოვანია, რომ რადიაცია, არასწორი და არაჯანსაღი ცხოვრების წესი, წინასწარი გენეტიკური განწყობა-ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი წარმოადგენს დაავადების გავრცელების ძირითად რისკ-ფაქტორს. თუმცა, გასული საუკუნის ბოლო დეკადებისგან განსხვავებით, რეალურად ამ ეტაპზე ფარისებრი ჯირკვლის კიბოს შემთხვევების ეფექტური და დროული გამოვლენა უკეთ ხდება, რაც მიანიშნებს, რომ საქმე არ ეხება ეპიდემიოლოგიურ აფეთქებას. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, გაანალიზებულ იქნა სხვადასხვა წლების მონაცემები, რომლის მეშვეობითაც შესაძლოა ზოგადი დასკვნის გაკეთება. 2000-2009 წლებში სულ რეგისტრირებულ იქნა 19 შემთხვევა. ნათელია, რომ ეს მაჩვენებელი არ არის ობიექტური. მონაცემი ამ პერიოდში ფარისებრი ჯირკვლის კიბო გავრცელების მაშტაბს კი არ უჩვენებს, არამედ მეტყველებს, რომ გამოვლინება ბევრად ნაკლები იყო, ვიდრე მომდევნო წლებში. რადგან ჩატარებული სხვადასხვა აქტივობების შედეგად ხდება მოსახლეობის მიმართვიანობის გაზრდა, ეს მაჩვენებელი ნელ-ნელა უახლოვდება რეალურს. პრევენციული ღონისძიებების გატარება იძლევა გართულებების თავიდან აცილების საშუალებას. 2011-2014 წლებში 175 შემთხვევა დაფიქსირდა, ხოლო 2015 წლის მონაცემებით 745 შემთხვევა დაფიქსირდა. რაც შეეხება სქესობრივ ჭრილში თავისებურებას, ქალებში მეტად არის ფარისებრი ჯირკვლის კიბოს შემთხვევები დაფიქსირებული, რადგან ჰორმონალური ცვლილებები მათში უფრო მეტად გამოიხატება. შესაბამისად, 2015 წ. 624 მდედრობითი სქესის, ხოლო 121 მამრობითი სქესის დაავადებული აღირიცხა. რაც შეეხება გადანაწილებას გამოვლენის სტადიის მიხედვით - I სტადიაზე გამოვლენილია 443 შემთხვევა, II სტადია - 45, III სტადია - 194, IV სტადიაზე გამოვლინდა 46 შემთხვევა. ციფრები მეტყველებს, რომ გაიზარდა ფარისებრი ჯირკვლის კიბოს პრევენცია და დროული გამოვლენა. აღსაღნიშნავია მიზნობრივი მკურნალობა, რომელიც საკმაოდ ეფექტურია და ადამიანის განკურნების რეალურ შესაძლებლობას გვაძლევს. რადიაციული იოდითა და ქირურგიული გზით მკურნალობის კომბინაციით, მეტასტაზების არარსებობისას, ორგანიზმის განკურნება შესაძლებელია. რაც შეეხება გენეტიკურ ფაქტორებს, რისკი მეტია თუ ოჯახის წევრს აღენიშნება ფარისებრი ჯირკვლის კიბო. განსაკუთრებით იზრდება რისკი, თუ აღნიშნულია მედულარული ფორმა, რადგანაც დაავადება გენეტიკურ კოდში ცვლილებას იწვევს. დაავადების შემცირების და დადრეული დიაგნოსტიკის გასაზრდელად, ეფექტური ინტერვენციაა სკრინინგი და კონტროლი.

**საკვანძო სიტყვები:** ფარისებრი ჯირკვლის კიბო, რისკ-ფაქტორი

# ჯიზონის მობილური APP-ით





- ❖ ჩამოტვირთეთ ჯიზონის მობილური აპლიკაცია
- ❖ განაწესეთ თქვენი პაციენტის ზღუდის ბეჭედი

## ჩამოტვირთეთ ჯიზონის მობილური აპლიკაცია მობილურის მონიტორინგით QR კოდა





# დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა

## Maternal and Child Health



## ორსულთა კვების გავლენა ნაყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე

გურამ ჭეიშვილი<sup>1</sup>, დიეგო რადა ფერნანდეს დე ხაურეგი<sup>2</sup>, ვასილ ტყემელაშვილი<sup>2</sup>

საქართველოს უნივერსიტეტი, ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა<sup>1</sup>  
ბასკეთის უნივერსიტეტი, პრევენციული მედიცინისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი<sup>2</sup>

<sup>1</sup>მაგისტრი, საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკა<sup>1</sup>; <sup>2</sup>ხელმძღვანელი, მედიცინის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი<sup>2</sup>, <sup>2</sup>ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი<sup>1</sup>

რაციონალური კვება უმნიშვნელოვანესი პირობაა ადამიანის ორგანიზმის ზრდისა და განვითარებისთვის, ასევე ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის. დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობა ათასწლეულის განვითარების მიზნების 2 ძირითად მიზანს წარმოადგენს. დაიგეგმა კვლევა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა შეგვესწავლა ორსულთა კვებითი სტატუსი და გამოგვევლინა მისი კავშირი ნაყოფის და დედის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან. კვლევის ამოცანები იყო კვების თავისებურებების შესწავლა ორსულ ქალებში, კვების თავისებურებების შესწავლა მელოგინე ქალებში, ორსულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლა, მელოგინე ქალთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლა, მშობიარობის გართულებების შესწავლა, ახალშობილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლა. კვლევის პროცესში წინასწარ შემუშავდა კვების კითხვარები, რისი მეშვეობითაც მოხდა მელოგინე ქალების გამოკითხვა. კითხვარი შედგენილი იყო კვების საკითხების ირგვლივ. კონფაუნდინგის გამოსარიცხად დამატებული იყო კითხვები სხვა მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორების შესახებ, როგორებიცაა მაგ.: თამბაქოს და ალკოჰოლის მოხმარება. კვლევის მონაწილეები იყვნენ მეძუძური დედები. რესპოდენტთა რაოდენობა შემუშავებულ იქნა კომპიუტერული პროგრამის საშუალებით და შეადგენდა 100-ს. მონაცემები დამუშავდა პროგრამული პაკეტის SPSS გამოყენებით. კვლევის შედეგების მიხედვით ფორმულირებული იქნა შემდეგი დასკვნები: სხეულის მასის ინდექსის მიხედვით დედების 64%-ს ჰქონდა ზედმეტი წონა და სიმსუქნე. ახალშობილთა 25%-ს აღენიშნა დაბალი (2800 გ-მდე), ხოლო 23%-ს მაღალი (3900 გ და მეტი) წონა. სხვადასხვა ხარისხის ანემია აღენიშნა ორსული ქალების 38% და ახალშობილთა 41%-ს. კვების რაციონში ორსული ქალების 50%-ს აღენიშნა რძის, 51%-ს - რძის პროდუქტების, 50%-ს - საქონლის ხორცის, 52%-ს - ქათმის ხორცის, 30%-ს - ხილის, ხოლო 9%-ს - ბოსტნეულის და მწვანე მწიფის დეფიციტი. ორსული ქალების 26%-ს აღენიშნა კალორიების, 34%-ს ცილების და 36%-ს ნახშირწყლების მიღების დეფიციტი. ორსულთა 7-7% მოიხმარდა სიგარეტსა და ალკოჰოლს. ახალშობილთა დაბადება დაბალი წონით აღინიშნა იმ შემთხვევებში, როდესაც ორსულმა ქალებმა ყოველდღიური კვების დროს მიიღეს დაბალი ოდენობით კალორიები (65.4%), ცილები (47.1%), ნახშირწყლები (44.4%), ასევე - დედის ჰემოგლობინის დაბალი მაჩვენებლის 86.4%-ში ( $p<0.01$ ). დაბალი წონით ახალშობილთა დაბადების რისკი იზრდება ორსული ქალების მიერ დაბალი რაოდენობით კალორიების მიღებისას 9.7-ჯერ, ცილების - 5.2-ჯერ, ნახშირწყლების - 4.7-ჯერ, ხოლო-დედის ჰემოგლობინის დაბალი მაჩვენებლის დროს - 10.3-ჯერ. ახალშობილის დაბალი ჰემოგლობინი აღინიშნა იმ შემთხვევებში, როდესაც ორსულმა ქალებმა მიიღეს დაბალი რაოდენობით ცილები (70.6%) და ნახშირწყლები (58.3%) ( $p<0.01$ ). ახალშობილის დაბალი ჰემოგლობინის რისკი იზრდება ორსული ქალების მიერ ყოველდღიური კვებით რაციონში დაბალი რაოდენობით ცილების მიღებისას 2.7-ჯერ, ხოლო ნახშირწყლების - 1.9-ჯერ. ნაადრევი მშობიარობის შემთხვევები აღინიშნება, როდესაც სახეზე გვაქვს ორსული ქალების მიერ ყოველდღიური კვებით რაციონით მიღებული დაბალი ოდენობით კალორიები (60.9%), ასევე- ორსულთა სისხლში დაბალი ჰემოგლობინის მაჩვენებლისა (78.3%) და ორსულთა მაღალი წონის (56.5) დროს ( $p<0.01$ ). ნაადრევი მშობიარობების რისკი იზრდება ორსული ქალების მიერ ყოველდღიურ კვებით რაციონში დაბალი ოდენობით კალორიების მიღებისას 4.0-ჯერ, ორსულთა სისხლში ჰემოგლობინის დაბალი რაოდენობისას - 5.9-ჯერ და ორსულთა მაღალი წონისას - 5.9 -ჯერ. ახალშობილის ჯანმრთელობის პრობლემები აღინიშნა იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზე გვაქვს ორსული ქალების მიერ ყოველდღიური კვებით რაციონში დაბალი ოდენობით კალორიების (22.9%) და ცილების (23.5%) მიღება, ასევე - დედის მიერ თამბაქოს მოხმარება (28.6%). ახალშობილის ჯანმრთელობის პრობლემების რისკი იზრდება ორსული ქალების მიერ ყოველდღიურ კვებით რაციონში დაბალი ოდენობით კალორიების მიღებისას 4.0-ჯერ, ცილების - 3.9-ჯერ და ორსულის მიერ თამბაქოს მოხმარებისას - 2.7-ჯერ.



აჭარის რეგიონის სოციალურად დაუცველ ორსულ ქალებში ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიების მართვა თამარ ქაჩლიშვილი<sup>1</sup>, ვასილ ტყემელაშვილი<sup>2</sup>

საქართველოს უნივერსიტეტი, ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა  
<sup>1</sup>მაგისტრი, საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკა; <sup>2</sup>ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით (WHO, 2014), დღესდღეობით 200 მლნ-ზე მეტ ადამიანს აღენიშნება ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიები. აჭარის რეგიონის სოციალურად დაუცველ ორსულ ქალებში ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიების მართვის დაზუსტების მიზნით, საქართველოს უნივერსიტეტის ბაზაზე ჩატარდა ეპიდემიოლოგიური კვლევა. დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (2012) მონაცემების მიხედვით სუბკლინიკური და სხვა ფორმის ჰიპოთირეოზის ინციდენტობის მაჩვენებლებმა 2012 წელში 2011 წელთან შედარებით 2-ჯერ მოიმატა, არატოქსიური ჩიყვის შემთხვევებმა - 1.13-ჯერ, ხოლო თირეოტოქსიკოზის - 1.3-ჯერ. ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა აჭარის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის სკრინინგის პროგრამის 1 წლიანი (2014–2015) პერიოდის მონაცემები: ჯამში აჭარაში მცხოვრებ 900, სოციალურად დაუცველ, ორსულ ქალს (სარეიტინგო ქულა 0–200 000) ჩატარდა ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების კვლევა (TSH, FT4), ფარისებრი ჯირკვლის ულტრასონოგრაფიული კვლევა და ენდოკრინოლოგის კონსულტაცია. ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგია სკრინინგ-პროგრამით გამოკვლეული 900 სოციალურად დაუცველი ორსული ქალიდან გამოუვლინდა სულ 335 (37.2%) ქალს. დადგენილი იქნა ორსულ ქალებში ფარისებრი ჯირკვლის დაავადების სტრუქტურა, თითოეული ავადობის ხვედრითი წონა და სარანგო ადგილი: დიფუზური ჩიყვი –32.1%; ჰიპოთირეოზი–18.9%; კვანძოვანი ჩიყვი–13.5%; აუტოიმუნური თირეოდიტი–13.5%; დიფუზურ-კვანძოვანი ჩიყვი–10.8%; სუბკლინიკური ჰიპოთირეოზი–8.1%; თირეოტოქსიკოზი–2.7%. 2012 წელს აჭარის აუტონომიური რესპუბლიკაში ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიის პრევალენტობამ ყოველ 1,000 მოსახლეზე შეადგინა 9.9, ხოლო სუბკლინიკური ჰიპოთირეოზის–20.8. გამოკვლეულ 900 სოციალურად დაუცველ ორსულ ქალში ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიის პრევალენტობამ ყოველ 1,000 ქალზე შეადგინა 372.2, ხოლო სუბკლინიკურის–32.2. სოციალურად დაუცველ ორსულ ქალებში ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიების გავრცელების სიხშირე 17.9 ჯერ, ხოლო სუბკლინიკური ჰიპოთირეოზის სიხშირე 3.3 ჯერ მაღალია ზოგადად აჭარის მოსახლეობაში ავადობის სიხშირესთან შედარებით. კვლევით დადგენილ იქნა, რომ არსებულ სკრინინგ პროგრამაში, ისევე როგორც სახელწიფო ანტენატალური მეთვალყურეობის პროგრამაში შესატანია ცვლილებები. კერძოდ ორსულობის პერიოდში ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიების ადრეული დიაგნოსტიკის მიზნით აუცილებელია ანტენატალური მეთვალყურეობის პირველ და მეორე ვიზიტზე გათვალისწინებულ გამოკვლევებში ჩართული იქნას ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციური ტესტები უსაფრთხო ორსულობის უზრუნველყოფის, მშობიარობის შესაძლო გართულებების პრევენციის, საკეისრო კვეთების შემცირების მიზნით.

**აბრევიატურა:** WHO- ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია

**საკვანძო სიტყვები:** ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგია, სკრინინგი, ორსულობა, აჭარა.

## ბავშვთა ასაკის მართვადი ინფექციების პროფილაქტიკის მენეჯმენტი

მარიამ იზორია<sup>1</sup>, ვასილ ტყემელაშვილი<sup>2</sup>

საქართველოს უნივერსიტეტი, ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა

<sup>1</sup>მაგისტრი, საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკა; <sup>2</sup>ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ქ.თბილისში 2008-2012 წლებში რეგისტრირებული იქნა წითელას 56 და წითურას 453 შემთხვევა. ჩატარდა დესკრიპტული ეპიდემიოლოგიური კვლევა. ASR-ს მიხედვით 2008-2012 წლებში ყოველ 100,000 მოსახლეზე წითელათი ავადდებოდა 0,2, ხოლო წითურათი-1,7 პაციენტი. 2013 წ. აღინიშნა წითელათი ავადობის მკვეთრი მატება. ASR-ს მიხედვით 2013 წელს ყოველ 100,000 მოსახლეზე წითელათი ავადდებოდა 385,7 პაციენტი. ამავე დროს, აი-ს მიხედვით, წითელათი ავადობის მაღალი დონეები აღინიშნა ასაკობრივ ჯგუფებში 0-4 (638,7‰) და 5-9 (668,0‰) წელი. წითელათი ავადობის საშუალო დონესთან შედარებით მაღალი სიხშირე აღინიშნა გლდან-ნამალადევისა და ისანი-სამგორის ადმინისტრაციულ რაიონებში, ხოლო დაბალი დონე- ვაკე-საბურთალოს რაიონში. ASR-ს მიხედვით ყოველ 100,000 მოსახლეზე წითურათი ავადდებოდა 36,8 პაციენტი. ამავე დროს, წითურათი ავადობის განსაკუთრებით მაღალი დონე აღინიშნა ასაკობრივ ჯგუფში 0-4 წელი (219,3‰). დინამიკაში (2008-2012/2013) აღინიშნა წითელათი და წითურათი ავადობის განსაკუთრებით მკვეთრი მატება 0-4 (შესაბამისად, 0,6‰-638,7‰ და 19,9‰-219,3‰) და 5-9 წლის (შესაბამისად, 1,1‰-668,0‰ და 5,4‰-54,4‰) ასაკობრივ ჯგუფებში. TASR-ს მიხედვით დინამიკაში აღინიშნა წითელათი და წითურათი ავადობის მკვეთრი მატება ასაკობრივ პერიოდებში 0-9 (შესაბამისად, 0,8‰-652,0‰ და 13,3‰-144,4‰) და 0-19 (შესაბამისად, 0,6‰-571,3‰ და 7,8‰-86,6‰) წლები. დინამიკაში აღინიშნა წითელათი (ASR: 0,2‰-385,7‰), განსაკუთრებით, და წითურათი (ASR: 1,7‰-36,8‰) ავადობის მკვეთრი მატება. SRR-ის მიხედვით დინამიკაში ქ.თბილისში წითელათი ავადობამ მოიმატა 1928,5-ჯერ (!), ხოლო წითურათი- 21,6-ჯერ. SRR-ის მიხედვით, თუ 2008-2012 წწ. წითურათი ავადობის სიხშირე 8,5-ჯერ აღემატებოდა წითელათი ავადობის სიხშირეს, 2013 წ. წითურასთან შედარებით წითელას მკვეთრი მატების (SRR=89,3) ფონზე უკვე წითელათი ავადობის სიხშირე 10,5-ჯერ აღემატებოდა წითურათი ავადობის სიხშირეს. SIR-ის მიხედვით დინამიკაში წითელათი ავადობამ მოიმატა 32855%-ით (!), ხოლო წითურათი- 141%-ით. AAR-ს მიხედვით 2013 წელს ყოველ 100,000 მოსახლეზე წითელათი ავადდებოდა ვაკე-საბურთალოს რაიონში 315,3, ხოლო ისანი-სამგორის რაიონში- 336,6. AAR-ს მიხედვით ყოველ 100,000 მოსახლეზე წითურათი ავადდებოდა ვაკე-საბურთალოს რაიონში 6,2, ხოლო ისანი-სამგორის რაიონში- 8,1. SRR-ის მიხედვით, 2013 წელს წითელათი ავადობის სიხშირე 12,1-ჯერ აღემატებოდა წითურათი ავადობის სიხშირეს ისანი-სამგორის რაიონში, ხოლო ვაკე-საბურთალოს რაიონში- 17,3-ჯერ. ამავე დროს, ვაკე-საბურთალოს რაიონთან შედარებით ისანი-სამგორის რაიონში წითელათი ავადობის სიხშირე იყო 1,7-ჯერ მაღალი, ხოლო წითურათი- 2,4-ჯერ. წითელათი ავადობის მკვეთრად მატების მიზეზების გამოვლენის მიზნით დამატებით ჩატარდა პროსპექტული კვლევა. ინტერვიუებისათვის შეირჩა თბილისის 6 პოლიკლინიკის 30 პედიატრი. გამოკითხულთა 50%-ის მოსაზრებით, მათი დაწესებულების მოქმედების არეალში აღინიშნება ბავშვთა მოსახლეობის იმუნიზაციით დაბალი მოცვა, რაც გამოკითხულთა 83%-ს აზრით დაკავშირებულია არსებულ ხარვეზებთან დაფინანსების მენეჯმენტში. წითელათი ავადობის მკვეთრ მატებას გამოკითხულთა 80% უკავშირებს 2008 წლის იმუნიზაციის პროგრამის ჩავარდნას, 33%-მშობლების უყურადღებობას, რაც დაკავშირებულია იმუნიზაციის საკითხებში მათი ინფორმირებულობის დაბალ დონესთან. ვაქცინაციის მენეჯმენტის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით თბილისის პოლიკლინიკების ინტერვიუებულ პედიატრთა 100% აღნიშნავს სამიზნე კონტიგენტის აღრიცხვიანობისა და დაფინანსების მენეჯმენტის გაუმჯობესების აუცილებლობას.

**აბრევიატურა:** ASR- წლოვანებით სტანდარტიზებული მაჩვენებელი, TASR- წლოვანებით სტანდარტიზებული შეკვეცილი მაჩვენებელი, AAR- წლოვანებით კორექტირებული მაჩვენებელი, SRR- სტანდარტიზებული მაჩვენებლების შეფარდება, SIR-სტანდარტიზებული ინციდენტობის შეფარდება, აი-ასაკისათვის სპეციფიკური სიხშირის მაჩვენებელი.

**საკვანძო სიტყვები:** ბავშვთა ასაკის მართვადი ინფექციები, წითელა, წითურა, ვაქცინაცია, თბილისი.

## **Ethical and Legal Aspect of Assisted Reproductive Techniques**

Oyesiji Rilwan Oyebamiji<sup>1</sup>, Natia Landia<sup>2</sup>

The University of Georgia, School of Health Sciences and Public Health

<sup>1</sup>BA student, Pharmacy English Bachelor Program; <sup>2</sup>Supervisor, MD, MHA, PhD(c)

Infertility is the inability or failure to conceive or impregnate after at least one year of unprotected coitus and most of those who suffer from infertility live in developing countries. Its management is supposed to be an important component of reproductive health services. The rapid advancements in sciences have revolutionized modern medicine in a number of ways; genetic engineering, Assisted Reproductive Technologies (ART), human cloning, stem cells etc. has opened up the unimagined and promise unquestionable and undreamed benefits to mankind. At the same time, they raise many questions of law and ethical issues relating to public interest, social and religious sentiments and family concern. Although ethical judgments may indeed express personal preferences and may be connected in complicated ways with cultural conventions, ethics itself is a form of rational inquiry that concerns how we should live and what we should do. Some ethical issues are matters of debate. Background: Infertility is a prevalent condition in many developing countries with significant physical and psychosocial implications. The aim of this study is to discuss briefly about the ethics assisted reproductive technology (ART). Method: Articles were gathered from Google and other related journals for English language articles based on the topic at hand. Result: Ethical issues in the reviewed literature are based on developing countries and the main themes are surrogacy, sex selection and gamete donation. Conclusion: There should be stipulated guidelines to tackle the Ethical and legal issue of assisted reproductive technology.

**Abbreviation:** ART- Assisted Reproductive Technologies.

**Key Words:** Artificial insemination, ART, Surrogate mother and In-vitro fertilization.

## **Ethical and Legal Aspect of Abortion**

Oladoye Oluwole Olawale<sup>1</sup>, Natia Landia<sup>2</sup>

The University of Georgia, School of Health Sciences and Public Health

<sup>1</sup>BA student, Pharmacy English Bachelor Program; <sup>2</sup>Supervisor, MD, MHA, PhD©

Abortion is a very painful topic for women and men who find themselves facing the moral dilemma of whether or not to terminate a pregnancy. It's one of the most polarizing moral issues - most people are on one side or the other, very few are undecided. The abortion debate deals with the rights and wrongs of deliberately ending a pregnancy before normal childbirth, killing the fetus in the process. Abortion is the termination of an established pregnancy, in which the embryo is removed from the body before it becomes capable of independent life. In medicine abortion means ending a pregnancy prematurely. An abortion is when the pregnancy is ended so that it does not result in the birth of a child. Abortion is a really serious ethical issue. There are always many debates going on about abortion, from all different points of view, The main debate that is always going on is whether it is morally right to terminate a pregnancy before normal childbirth. Other debates are about the rights of the mother, the rights of the father, rights of the unborn child, and even about religious views on abortion. Background: Abortion comes from the Latin word *abortion*, which means to abort, miscarry, and deliver prematurely. An abortion is when the pregnancy is ended so that it does not result in the birth of a child. Abortion is the most difficult and controversial moral issues we will consider. Listen to both sides, even if that is difficult to do. Both sides have important moral insights, even if ultimately these insights are outweighed by the insights of the other side. The goal of this work is not to convince you to accept one position or the other, but to help you to understand both side. Methods: This material contains some articles from Google, and few other literatures which are well integrated and put together for better understanding and viewing of this topic. Results: There are various views on the topic of abortion which just goes beyond moral, ethical, and legal, it also encompasses religion, cultural and so on. Conclusion: In conclusion, I would say that this work or little material has helped to clarify some people's opinion about the topic ARBORTION.

**Key words:** *Abortion, Ethical, Legal.*

## **Viral Upper Respiratory Tract Infections in Children: Prevalence, Epidemiology and Risk Management**

Victory Chineze Eleru<sup>1</sup>, Lela Sulaberidze<sup>2</sup>

The University of Georgia, School of Health Sciences and Public Health

<sup>1</sup>BA student, Nursing for International Students; <sup>2</sup>Supervisor, MPH, PhD(c)

Viral Upper Respiratory Tract Infections (VURTI) are infections of the conducting part of the respiratory system with viral etiology. VURTIs constitute for 50% of doctor visit and has a large burden on community and a high cost to society as it is responsible for majority of absenteeism from schools and work. URTIs are caused by over 200 viruses including: rhinovirus, coronavirus, parainfluenza virus, respiratory syncytial virus, and influenza type A and B; and are primarily responsible for the most common VURTIs: Common Cold (CC) and Influenza. The purpose of this review is to describe prevalence and epidemiology of VURTI, develop risk management strategies and recommendations for adoption and implementation with main focus on CC and Influenza A and B. Overview: Prevalence/ Epidemiology: VURTIs are transmitted via person to person contact and have been observed to have more prevalence during fall and winter seasons. Nevertheless, some studies show a high prevalence of VURTIs regardless of season. Children below 5 years of age have been seen to have the highest morbidity in regards to VURTI. VURTIs and respiratory infections in general are more prevalent in low and middle income countries (LMICs) compared to high income countries. Georgia's estimates show a better outcome regarding to VURTIs prevalence compared to some post soviet union countries.

Common Cold (CC) syndrome and Influenza (A and B) are the most common forms of VURTIs. The distinguishing symptom between CC and influenza is high fever, especially sudden onset of it, also expressed malaise, headache and cough. While CC is characterized by sneezing, coughing, running nose, sore throat, watery eyes, and nasal congestion. In 50% cases, symptoms of CC are diminished within 6 to 9 days without medication intake. Therapy for CC includes bed rest, fluid intake and symptomatic medications. Risk Management: To avoid a spread of virus the following issues are provided to be taken into consideration: persons movement affected with VURTIs should be limited and hand hygiene should be promoted for in-practice implementation. Overcrowding should be avoided especially during winter and fall, and nose and mouth mask should be used whenever being in public spaces. Also, proper way of covering the mouth during sneezing should be taught and advertised. It is important for the general public to understand that self-treatment with antibiotics does not affect outcome of illness, rather increases the antibiotic resistance. Conclusion: Public awareness about VURTI's is essential for its epidemiology, prevention and management. In Georgia, there is effective medical management of VURTIs with little preventive measures taught, as the population with the high burden of VURTIs cannot take care of themselves. Therefore, collaborative efforts between the government and health institutions should be geared towards educating parents, care providers and school administration on preventive measures to take to reduce the occurrence and spread of VURTIs. Georgia has a real chance to be a model country in European Region with improved outcomes through advertising and promoting hygiene together with other preventive activities as well.

**Abbreviations:** VURTI-Viral Upper Respiratory Tract Infection, CC-Common Cold.

**Key Words:** Viral Upper Respiratory Tract Infection, Common Cold, Influenza.



## მკვდრადშობადობის სიხშირე, რისკები და მათი მართვა

შორენა ტატიშვილი<sup>1</sup>, ვასილ ტყემელაშვილი<sup>2</sup>

საქართველოს უნივერსიტეტი, ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა

<sup>1</sup>მაგისტრანტი, საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკა; <sup>2</sup>ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მკვდრადშობადობა განისაზღვრება, როგორც ნაყოფის მუცლად ყოფნის პერიოდში გარდაცვალება ორსულობის მეოცე კვირის შემდგომ. თუმცა, ცალკეული ქვეყნების ადგილობრივი კანონების მიხედვით, მკვდრადშობადობად შესაძლოა მიიჩნეოდეს ნაყოფის გარდაცვალება ორსულობის 16, 20, 22, 24 ან 28 კვირიდან. საქართველოში მკვდრადშობადობად ითვლება ნაყოფის გარდაცვალება გესტაციის 22 კვირიდან და მეტი (თუ ცნობილია გესტაციის ვადა), ან წონა 500 გრ და მეტი, იმ შემთხვევაში, თუ გესტაციის ვადა ცნობილი არ არის. მსოფლიო მასშტაბით, 2015 წლის მონაცემებით, მკვდრადშობადობა ყოველ 1000 დაბადებულზე 18.4-ს შეადგენს. ამ მაჩვენებლის უმეტესი ნაწილი მოდის საშუალო და დაბალშემოსავლიან ქვეყნებზე. აშშ-ში 2015 წლის მონაცემებით, ყველა ორსულიდან დაახლოებით 1%-ში მთავრდება ორსულობა მკვდრადშობადობით (ყოველწლიურად აღირიცხება დაახლოებით 24,000 მკვდრადშობადობა). 2014 წელს საქართველოში მკვდრადშობადობის მაჩვენებელი 1000 დაბადებულზე 10.5-ს შეადგენდა. მკვდრადშობადობის ყველა მიზეზი ჯერჯერობით ცნობილი არ არის. ცნობილი მიზეზები, ძირითადად მიეკუთვნებიან ჩამოთვლილი სამი კატეგორიიდან რომელიმეს: ნაყოფთან დაკავშირებული პრობლემები (თანდაყოლილი/გენეტიკური დეფექტები), პლაცენტასთან და ჰიპლართან დაკავშირებული პრობლემები, დედის გარკვეული მდგომარეობები (მაგალითად, დიაბეტი, მაღალი წნევა, სიმსუქნე). მიუხედავად იმისა, რომ მკვდრადშობადობას ადგილი აქვს ყველა ეროვნებასა და რასაში, მაღალ/დაბალშემოსავლიან ქვეყნებში და ნებისმიერი ასაკის ქალი შეიძლება დადგეს აღნიშნული პრობლემის წინაშე, შედარებით მაღალი რისკის ქვეშ იმყოფებიან ქალები შემდეგი მახასიათებლებით: შავკანიანები, თინეიჯერები და 35 წელს გადაცილებულები, დაუოჯახებლები, ზედმეტწონიანები, მწევლები (ორსულობის პერიოდში), მრავალნაყოფიანი ორსულები, ანამნეზში აუხსნელი მკვდრადშობადობის მქონეები. მკვდრადშობადობის შეფასებისას, ყველაზე მნიშვნელოვანი კვლევებია: ნაყოფის აუტოფსია, პლაცენტის, ჰიპლარისა და სანაყოფე გარსების გამოკვლევა და კარიოტიპირება. ნაყოფის სიკვდილის დადგენის შემდეგ რეკომენდებულია კლინიკური და ლაბორატორიული კვლევების ჩატარება, სრული პერინატალური და ოჯახური ანამნეზი, რომლის მიზანია დედის ჯანმრთელობის უზრუნველყოფა და სიკვდილის მიზეზის დადგენა, ორსულობის შემდგომი გართულებების თავიდან აცილება, განმეორებითი მკვდრადშობადობის შესაძლებლობისა და სავარაუდო მიზეზის გამოვლენა. მკვდრადშობადობის პრევენცია და შესაბამისი ზედამხედველობა არ შეიძლება იდგეს განყენებულად, ეს უნდა იყოს ინტეგრირებული მიდგომა, რომელიც მოიცავს ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ პროცესების ერთობლიობას, მაგალითად: ორსულობის მაღალხარისხიანი მონიტორინგი, კვალიფიციური მშობიარობის მართვა, მოსახლეობის ინფორმირებულობა/შესაბამისი განათლება.

**საკვანძო სიტყვები:** მკვდრადშობადობა, რისკები, მართვა.

## მკვდრადშობადობის სიხშირე, რისკები და მათი მართვა

ირინა კანდელაკი<sup>1</sup>, ოთარ ვასაძე<sup>2</sup>

საქართველოს უნივერსიტეტი, ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა  
<sup>1</sup>სტუდენტი ბაკალავრი, ჯანდაცვის ადმინისტრირება; <sup>2</sup>ხელმძღვანელი, მედიცინის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

მკვდრადშობადობას მრავალი ფაქტორი იწვევს, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში მისი ზუსტი მიზეზის დადგენა ვერ ხერხდება. საყურადღებო ფაქტია, რომ საქართველოში 2009-10 წლებში შობადობის მაჩვენებლის უმნიშვნელო სხვაობის ფონზე მკვდრადშობადობის მაჩვენებელი თითქმის 30%-ით გაიზარდა. მკვდრადშობადობის მიზეზებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ორსულობის პერიოდში თამბაქოსა და ალკოჰოლის მოხმარებასა და მემკვიდრეობით დაავადებებს. თამბაქოს კვამლი შეიცავს 4 000-ზე მეტ ქიმიურ ნივთიერებას, როგორებიცაა ციანიდი, ტყვია და რაც ყველაზე საშიშია - ნიკოტინს და მხუთავი აირს. სწორედ ეს ნივთიერებები იწვევს ნაყოფის ყველა ანომალიას. ნიკოტინი და მხუთავი აირი ამცირებს ნაყოფთან ჟანგბადის მიწოდებას, რაც იწვევს ნაადრევ მშობიარობას, ჩვილის პატარა წონას ან სულაც მკვდრადშობადობას. ნიკოტინი ავიწროვებს სისხლძარღვებს, მათ შორის ჭიპლარის სისხლძარღვებსაც, რაც აფერხებს ნაყოფიფისთვის ჟანგბადის მიწოდებას. ერთროციტები, რომელთაც ჟანგბადის მოლეკულები გადააქვთ, მწველი დედის ორგანიზმში მხუთავი აირის ტრანსპორტირებასაც ახორციელებენ. ანუ ნაყოფს შევიწროებული ჭიპლარის არტერიიდან საჭიროზე ნაკლები ჟანგბადი მიეწოდება, რომელსაც თან მომწამვლელი მხუთავი აირი ახლავს თან. ასევე მნიშვნელოვანია ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება და გინეკოლოგთან ვიზიტებზე უარის თქმა არის ის ძირითადი ფაქტორები, რომლებიც შეიძლება ნაყოფის ინტრანატალური სიკვდილის მიზეზი გახდეს. რაც შეეხება მემკვიდრეობით დაავადებებს, მათი სპექტრი ძალზე ფართოა და მოიცავს 4500-ზე მეტ ფორმას. მაგალითად, ნერვულ დაავადებათა ჯგუფი 300-ზე მეტ მემკვიდრეობით დაავადებას აერთიანებს, დერმატოლოგიურ და ოფთალმოლოგიურ დაავადებათა ჯგუფი - 250-ზე მეტს. ზოგიერთი ფორმა ძალზე იშვიათია და ექიმი თავისი პრაქტიკის განმავლობაში შესაძლოა ვერც კი შეხვდეს მას, არ მიეცეს მასზე დაკვირვების, მისი აღწერის საშუალება. მემკვიდრეობით დაავადებათა დიაგნოსტიკა კლინიკური, გენეალოგიური და პარაკლინიკური კვლევის შედეგებს ეფუძნება. ექიმს მემკვიდრეობითი დაავადება რომ არ გამოეპაროს, მას უნდა ახსოვდეს, რომ მემკვიდრეობითი დაავადება შეიძლება არამემკვიდრეობითი სიმპტომებით შეინიღბოს. ხანდახან ის თან ახლავს ძირითად, არამემკვიდრეობით დაავადებას, რომლის გამოც პაციენტმა კლინიკას მიმართა. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ, ერთი მხრივ, მემკვიდრეობითი დაავადებების ასეთი მრავალფეროვნების და, მეორე მხრივ, ზოგიერთი მათგანის იშვიათობის გამო ექიმს შესაძლოა არ ჰქონდეს ის ცოდნა, რომელიც საჭიროა არათუ ყველა მემკვიდრეობითი დაავადების, არამედ თუნდაც მხოლოდ თავის სპეციალობაში არსებული იშვიათი დაავადებების დიაგნოსტიკისთვის. ამიტომ, მან აუცილებლად უნდა იცოდეს ის ძირითადი პრინციპები, რომელთა საშუალებას მისცემს ივარაუდოს ესა თუ ის მემკვიდრეობითი დაავადება, შემდეგ კი ექიმს გენეტიკოსთან კონსულტაციის საფუძველზე დასვას ზუსტი დიაგნოზი. რაც შეეხება მომავალმა დედეებმა უნდა გაითვალისწინონ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჯანმრთელი ცხოვრების წესი, ხოლო ორსულებმა აუცილებლად უნდა გაიარონ ანტენატალური მეთვალყურეობა, რათა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ნაყოფის ინტრანატალური სიკვდილის რისკები.

**საკვანძო სიტყვები:** მკვდრადშობადობა, რისკები, მართვა.

## აბორტებისა და საკეისრო კვეთების სიხშირე, რისკები და მათი მართვა

მარიამ ფოლადაშვილი<sup>1</sup>, ვასილ ტყემელაშვილი<sup>2</sup>

საქართველოს უნივერსიტეტი, ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა

<sup>1</sup>სტუდენტი ბაკალავრი, ჯანდაცვის ადმინისტრირება; <sup>2</sup>ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

აბორტი ანუ ორსულობის ვადაზე ადრე შეწყვეტა, შეიძლება მოხდეს თავისთავად, სპონტანურად, ან ხელოვნური ჩარევის გზით. სპონტანური აბორტი ვითარდება ქალის ორგანიზმზე ან ნაყოფზე უშუალო ზემოქმედების გარეშე. მისი გამომწვევი მიზეზებია ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტრავმები, ხელშემწყობი მიზეზები - საშვილოსნოსა და საკვერცხეების განუვითარებლობა, საშვილოსნოს სიმსიმინე, სასაქსო ორგანოების ანთება, ორსულთა ტოქსიკოზი, მწვავე და ქრონიკული ინფექციური დაავადებები, გულის მძიმე მანკი, ჰიპერტონიული დაავადება, ინტოქსიკაცია, დედისა და ნაყოფის სისხლის შეუთავსებლობა. 2004-2012 წწ. ყოველწიურად შეინიშნებოდა როგორც ხელოვნური ასევე თვითნებური აბორტების შემთხვევების ზრდა. მისასლამებელია ის ფაქტი, რომ 2013-2014 წწ. მონაცემების მიხედვით ხელოვნური აბორტების შემთხვევების რაოდენობა ყოველწიურად დაახლოებით 4,000 შემთხვევით კლებულობს. რაც შეეხება თვითნებურ აბორტებს, სამწუხაროდ ბოლო წლებშიც კვლავ მზარდი ტენდენცია შეინიშნება და 2014 წელს წინასწარი მონაცემებით ბოლო 10 წლის განმავლობაში ყველაზე ბევრი 5,895 შემთხვევა. 2014 წლის ოქტომბრის თვეში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც უკანონო აბორტების შესახებ კანონში დაწესებული სანქციები გამკაცრდა. უკანასკნელი ცვლილების მიხედვით უკანონო აბორტი დაისჯება საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით 120-300 საათის ვადით, ან თავისუფლების აღკვეთით 1-დან 2 წლამდე. იგივე ქმედება ჩადენილი უკანონო აბორტისათვის, რამაც გამოიწვია შვილოსნობის სამუდამოდ მოშლა, ან სხვა მძიმე შედეგი, დაისჯება თავისუფლების აღკვეთით 2-დან 5 წლამდე. უკანონო აბორტი რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა, დასჯადი გახდება თავისუფლების აღკვეთით 4-დან 6 წლამდე, თანამდებობის დაკავების, ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით, ვადით 3 წლამდე. ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით საქართველოში 2012 წლამდე ყოველწიურად შეინიშნებოდა აბორტების რაოდენობის მატების მზარდი ტენდენცია და 2012 წელს ოფიციალურად ორსულობის შეწყვეტის 39,225 ფაქტი დაფიქსირდა. დაავადებათა კონტროლის ცენტრების მიერ 2011 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში დაფიქსირდა სულ 730,322 აბორტი. ამასთან ერთად, 2011 წელს აბორტების საერთო რაოდენობა 2010 წელთან შედარებით შემცირდა 5%-ით. აშშ-ში ორსულობის 21% დასრულდა აბორტით. ყოველ წელს მსოფლიოში კეთდება 40-50 მლნ აბორტი, ანუ ~125,000 აბორტი დღეში. საქართველოში ჩატარებული “ქალთა რეპროდუქციული კვლევების” მიხედვით, საკეისრო კვეთების გამომწვევი მიზეზებიდან ყველაზე ხშირი ადრე გაკეთებული საკეისრო კვეთაა-20. საქართველოში ქალთა რეპროდუქციული კვლევები 1999 წლიდან ტარდება. ამ კვლევებიდან იკვეთება, რომ 2013 წლამდე პერიოდში საკეისრო კვეთების რიცხვი 6%-დან 32%-მდე გაიზარდა. ყოველ 5 წელში დაახლოებით 2-ჯერ იმატებს: 1999 წელს-6%, 2005-13%, 2010-24%, 2013 წლის მონაცემით კი, დაახლოებით 32%-ია. ამასთან, თითქმის ყოველი მეხუთე საკეისრო კვეთა პაციენტის მოთხოვნით კეთდება. WHO-ის რეკომენდაციით, საკეისრო კვეთების რიცხვი არ აღემატება მშობიარობის საერთო რაოდენობის 15%, თუმცა WHO ოპტიმალურ რიცხვად უფრო ნაკლებს- 5-10% ასახელებს. თუ გადავხედავთ ამავე ორგანიზაციის სხვა ქვეყნების ანგარიშებს, სჩანს, რომ საქართველო გამონაკლისი არ არის, სადაც მზარდია საკეისრო კვეთის რიცხვი. ბოლო დეკადებში საკეისრო კვეთების სიხშირე, ყველგან იზრდება. აშშ-ში 2010-2012 წწ. საკეისრო კვეთების მაჩვენებელი შეადგენდა 32,8%, საფრანგეთში-20,2% (2003), იტალიაში-38% (2010), გერმანიაში-40-50%, ჩინეთში-36%-58%, პორტუგალიაში-36,3%, რუმინეთში-36,9%, შვეიცარიაში-33%, დიდ ბრიტანეთში-25%<sup>1</sup>. საკეისრო კვეთის დაბალი მაჩვენებლები ფიქსირდება ისლანდიაში (14,8%), ნიდერლანდებში (17%), ნორვეგიასა (17,1%) და შვედეთში (17,5%). საკეისრო კვეთების რაოდენობის ზრდა ასოცირდება დედათა და ბავშვთა ავადობისა და სიკვდილობის მაღალ მაჩვენებელთან. ამასთან, იგი მნიშვნელოვნად ზრდის დანახარჯებს. 2008 წლის მონაცემებით, აშშ-ში 3.18 მილ. დამატებითი და 6.2 მილ. არასაჭირო საკეისრო კვეთა ჩატარდა, რომელთა საერთო ღირებულებამ შეადგინა 2.32 მილიარდი აშშ დოლარი.



# ჯანსაღი ქცევები და გარემო

## Healthy Behavior and Environment



## დემოგრაფიული და სოციალური ფაქტორების ზეგავლენა ჭარბ წონასა და სიმსუქნეზე საქართველოში სოფიო სკლიარენკო<sup>1</sup>, ვასილ ტყემელაშვილი<sup>2</sup>, ზაზა ავალიანი<sup>3</sup>

საქართველოს უნივერსიტეტი, ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა

<sup>1</sup>დოქტორანტი, საზოგადოებრივი ჯანდაცვა; <sup>2</sup>ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; <sup>3</sup>ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სიმსუქნე არის თანამედროვე ცივილიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით 2008 წელს საქართველოს მოსახლეობის 54.1 % იყო ჭარბწონიანი (ასაკი>20), ხოლო სიმსუქნე აღენიშნებოდა 22.1%. აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავს საქართველოში სიმსუქნისა და ჭარბი წონის გავრცელების, მათი სოციალურ, დემოგრაფიულ, ქცევით ფაქტორებთან და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დამოკიდებულების ანალიზს. აღნიშნულ ნაშრომს საფუძვლად უდევს საქართველოში 2010- 2011 წლებში ჩატარებული არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების კვლევა, რომელიც ჩატარდა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული მეთოდით – STEPS. კვლევაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს 6497-მა მოქალაქემ, აქედან 1887 (29%) იყო მამაკაცი, ხოლო 4610 (71%) ქალი. კვლევის მეთოდებად გამოყენებულ იქნა მარტივი T- ტესტი, მრავლობითი რეგრესიის მეთოდი, დაავადებათა განვითარების რისკის ოდენობების განსაზღვრა “შემთხვევა-კონტროლის” მეთოდით. კვლევის შედეგების მიხედვით: ორივე სქესში ჭარბი წონის (სმი=25.0-29.9) პრევალენტობამ ყოველ 1,000 მოსახლეზე შეადგინა 314, ხოლო სიმსუქნის (სმი=30+) - 251-ს. ამავე დროს, ჭარბი წონის სიხშირე უფრო პრევალირებს მამაკაცებში (368%0), ხოლო სიმსუქნის- ქალებში (285%0). მომატებული სმი კორელაციურ კავშირშია რიგ სოციალ-დემოგრაფიულ ფაქტორთან, კერძოდ სმი მაჩვენებლის სხვადასხვა მნიშვნელობა გამოვლინდა განათლების დონისა და ოჯახური მდგომარეობის მიხედვით. მომატებული სმი კორელაციურ კავშირშია რიგ ქცევით ფაქტორთან. კვების ჯერადობისა 4-ჯერ დღეში სხეულის მასის ინდექსმა შეადგინა 29.2 და 1.3 კგ/ მ<sup>2</sup> ით აღემატება ანალოგიურ მაჩვენებელს დღეში 3-ჯერადი კვების, უკუპროპორციული დამოკიდებულება გამოვლინდა თამბაქოს გამოყენებასა და ( $t=-3.5$ ), ფიზიკურ აქტივობასთან ( $t=-2.0$ ) მიმართებაში. სმი-ს მაჩვენებელსა და ფიზიკური აქტივობის ინტენსივობას შორის არსებობს უკუპროპორციული დამოკიდებულება. რაც მეტია ფიზიკური დატვირთვა, მით უფრო ნაკლებია სმი. მომატებული სმი კორელაციურ კავშირშია ჯანმრთელობის მდგომარეობის რიგ დარღვევებთან, კერძოდ- მაღალ არტერიულ წნევასთან ( $t=-3.4$ ), სისხლში ქოლესტერინისა ( $t=-2.5$ ) და გლუკოზის ( $t=6.4$ ) დონის მომატებასთან, ანამნეზში ინსულტთან ( $t=-3.1$ ), მიოკარდიუმის ინფარქტთან ( $t=-6.6$ ), ავთვისებიან სიმსივნეებთან ( $t=-6.3$ ). ჭარბი წონის არსებობა 2.2-ჯერ ზრდის შაქრიანი დიაბეტის განვითარების რისკს, ხოლო სიმსუქნე- 2.3 - ჯერ. 50 და მეტი წლის ასაკოვან პერიოდში, სიმსუქნე 2.6-ჯერ ზრდის შაქრიანი დიაბეტის განვითარების რისკს. ჭარბი წონის არსებობა 1.7-ჯერ ზრდის ინსულტის განვითარების რისკს, ხოლო სიმსუქნე -2.4-ჯერ. 50 და მეტი ასაკის შემთხვევაში, სიმსუქნე 5.9-ჯერ ზრდის ინსულტის განვითარების რისკს. ჭარბი წონის არსებობა 2.4-ჯერ ზრდის მიოკარდიუმის ინფარქტის განვითარების რისკს, ხოლო სიმსუქნე- 3.6-ჯერ. 50 და მეტი ასაკის შემთხვევაში, ნორმალური წონასთან შედარებით ჭარბი წონა და სიმსუქნე 4.2-ჯერ ზრდის მიოკარდიუმის ინფარქტის განვითარების რისკს. მომატებული სმი-ს მქონე პირებში სიმსივნური დაავადებების განვითარების რისკი მაღალია ნორმალური წონის ადამიანებთან შედარებით. 50 და მეტი ასაკის პერიოდში, ნორმალურ წონასთან შედარებით ჭარბი წონა და სიმსუქნე 2-ჯერ ზრდის სიმსივნური დაავადებების განვითარების რისკს.

**აბრევიატურა:** სმი- სხეულის მასის ინდექსი.

**საკვანძო სიტყვები:** ჭარბი წონა, სიმსუქნე, დემოგრაფია, ავადობა, ქცევითი ფაქტორები, ჯანმრთელობა, დაავადებათა რისკები.



## თამბაქოს მოხმარების გავრცელების თავისებურებანი ქ. თბილისის სკოლის მოსწავლეებსა და უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს შორის

თეონა თოდრია<sup>1</sup>, ვასილ ტყემელაშვილი<sup>2</sup>

საქართველოს უნივერსიტეტი, ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა

<sup>1</sup>მაგისტრი, საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკა; <sup>2</sup>ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თამბაქო არის სიკვდილობის გამომწვევი მეორე მთავარი მიზეზი მსოფლიოში. თამბაქო კლავს დაახლოებით 6 მილიონ ადამიანს ყოველს წელს. გამოვიკვლიეთ თამბაქოს მოხმარების გავრცელების თავისებურებანი ქ. თბილისის სკოლის მოსწავლეებსა და უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს შორის. შესწავლილი იქნება სკოლის მოსწავლეები მეშვიდე კლასიდან დაწყებული მეთორმეტე კლასის ჩათვლით და ორი უნივერსიტეტის სტუდენტები პირველიდან მეოთხე კურსის ჩათვლით. კვლევა ჩატარდა სპეციალურად შემუშავებული კითხვარის მეშვეობით, მონაცემები დამუშავდა პროგრამული პაკეტის spss-ის მეშვეობით. სულ გამოკითხულია 300 რესპოდენტი. ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა, რომ: თბილისის სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეებს შორის სიგარეტის მოწევის სიხშირე ყოველ 1,000 მოსწავლეზე შეადგენს 347-ს. მოზარდები სიგარეტს სინჯავენ ძირითადად 13-14 წლის ასაკში; ასაკთან ერთად მატულობს მოწევის გავრცელების სიხშირე; არასრულწლოვან მოზარდებს თავისუფლად შეუძლიათ თამბაქოს შეძენა, გამყიდველების მხრიდან უმეტეს შემთხვევებში არ ხვდებიან დაბრკოლებას; თუკი ოჯახის რომელიმე წევრი ეწევა თამბაქოს, 1,5-ჯერ იზრდება მოსწავლის მიერ სიგარეტის მოწევის დაწყების რისკი; თუკი ეწევა მეგობარი, მოწევის რისკი იზრდება 1,3-ჯერ, მხოლოდ გამოკითხულთა 16%-ის არცერთი მეგობარი არ ეწევა, ხოლო 84%-ის მეგობარი ეწევა; მდებარეობითი სქესის მოსწავლეთა უმეტესობა მოწევას იწყებს უფრო მოდისა და კარგი იმიჯის შექმნისათვის; სპორტი წარმოადგენს თამბაქოს მოწევის დაწყების საწინააღმდეგო ერთ-ერთ პრევენციულ ფაქტორს. არამწვევლების 80%-ს აღიზიანებს სიგარეტის ბოლი და მათ უმრავლესობას (74.5%) სურს, რომ მოწევა აიკრძალოს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.

**საკვანძო სიტყვები:** თამბაქოს მოხმარების გავრცელება, სკოლის მოსწავლეები, უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები, თბილისი.

## 19 წლამდე ასაკის ბავშვებში ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებით გამოწვეული რისკები და მათი მართვა ეკატერინე ჩიჩუა<sup>1</sup>, ვასილ ტყემელაშვილი<sup>2</sup>

საქართველოს უნივერსიტეტი, ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა

<sup>1</sup>მაგისტრი, საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკა; <sup>2</sup>ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ჩატარებული იქნა მცირე ეპიდემიოლოგიური კვლევა, რომელიც მოიცავდა 2010-2013 წლებში მ. იაშვილის სახ. ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოში ფსიქოტროპული მედიკამენტოზური ინტოქსიკაციის მიზეზით განპირობებული ჰოსპიტალიზაციის 143 შემთხვევის შესწავლას და ანონიმური ანკეტის საშუალებით ფსიქოტროპული მედიკამენტოზური ინტოქსიკაციით ჰოსპიტალიზებული 22 პაციენტის გამოკითხვას. მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე გაკეთებული იქნა დასკვნები და ჩამოყალიბებული რეკომენდაციები. დინამიკაში აღინიშნა მოზარდების მიერ ფსიქოაქტიური მედიკამენტების არასამედიცინო მიზნით გამოყენების მატების ტენდენცია, რომელმაც პიკს 2013 წელს მიაღწია და წინა წელთან შედარებით, დაფიქსირდა ფსიქოაქტიური ნივთიერებების ინტოქსიკაციით ჰოსპიტალიზირებული მოზარდების რაოდენობის 168%-იანი მატება. ფსიქოაქტიური ეფექტის მიღების მიზნით მოზარდების მიერ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება სხვა ასაკობრივ ჯგუფებთან შედარებით განსაკუთრებით მწვავედ დგას 15-19 წლის ასაკის მოზარდებში. ამ ასაკის მამრობითი სქესის წარმოდგენლებში 3-ჯერ მაღალია ფსიქოაქტიურ ნივთიერებების არასამედიცინო მიზნით მოხმარების სიხშირე, ვიდრე 10-14 წლის ასაკში, და 87-ჯერ მაღალი - 5-9 წლის ასაკობრივ ჯგუფთან შედარებით. ამავე დროს, 15-19 წლის ასაკობრივ ჯგუფში ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებას დინამიკაში აქვს მკვეთრი მატების ტენდენცია. ფსიქოაქტიური ნივთიერებების არასამედიცინო მიზნით მოხმარებისკენ 4-ჯერ უფრო მეტად არიან მიდრეკილნი მამრობითი სქესის მოზარდები, ვიდრე მდედრობითი. ოჯახური მდგომარეობა და სოციალური სტატუსი გავლენას არ ახდენს მოზარდებში ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების მიდრეკილებაზე. ამ ჩვევისკენ უფრო მეტად მიდრეკილნი არიან სკოლის მოსწავლეები და უნივერსიტეტის სტუდენტები. კვლევის მიხედვით გამოვლინდა, რომ მოზარდები ფსიქოტროპული ეფექტის მისაღებად ურეცეპტოდ გაცემადი მედიკამენტებიდან ყველაზე ხშირად იყენებენ პრეპარატ ბაკლოსანს. ბაკლოსანის მოხმარების სიხშირეს დინამიკაში ახასიათებს ზრდის ტენდენცია. ფსიქოტროპული ეფექტის მისაღწევად ბაკლოსანის მიღებული დოზის ზრდასთან ერთად იზრდება მოზარდის მდგომარეობის დამძიმებისა და ფილტვის ხელოვნური ვენტილაციის აპარატის საჭიროების ალბათობა. ბაკლოსანის 10 და მეტი აბის მიღების შემთხვევაში 3-ჯერ იზრდება მოზარდის მდგომარეობის დამძიმების რისკი. ფსიქოაქტიური ეფექტის გაძლიერების მიზნით ხშირია პრეპარატ ბაკლოსანის მოხმარება სხვა ფსიქოტროპულ მედიკამენტებთან კომბინაციაში. ჰოსპიტალიზებული მოზარდების 77.3%-მა მედიკამენტი აფთიაქში თავისუფლად შეიძინა. რეკომენდებულია: ყველა პოტენციურად საშიში მედიკამენტის გაყიდვების შეზღუდვა მოზარდებზე 18 წლამდე და ზოგიერთ პრეპარატზე რეცეპტის გარეშე პრეპარატის გაცემის აკრძალვა; აფთიაქების მკაცრი კონტროლი და სოლიდური ჯარიმების დაწესება მოზარდებისთვის პოტენციურად საშიში ან რეცეპტივ გაცემადი მედიკამენტის თავისუფლად გაცემაზე.

**საკვანძო სიტყვები:** ბავშვებში ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარება, ინტოქსიკაცია, რისკები, მართვა

## C ჰეპატიტის ცოდნის დონის შესწავლა სილამაზის სალონების პერსონალში

ხატია ანთია<sup>1</sup>, ოთარ ვასაძე<sup>2</sup>

საქართველოს უნივერსიტეტი, ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა

<sup>1</sup>მაგისტრანტი, ჯანდაცვის ადმინისტრირება; <sup>2</sup>ხელმძღვანელი, მედიცინის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO, 2015) მონაცემების მიხედვით დაახლოებით 130-150 მილიონი ადამიანი არის დაავადებული C ჰეპატიტით მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ამასთანავე HCV-ით გამოწვეული ღვიძლის დაზიანება ხდება ყოველწლიურად 500,000 ადამიანის სიკვდილის მიზეზი. საყურადღებოა დაავადების გავრცელების მაღალი მაჩვენებელი სილამაზისა და ტატუს სალონების სერვისების მომხმარებელ პოპულაციაში. გლობალურ დონეზე არ მოიპოვება რელევანტური ეპიდემიოლოგიური მონაცემები, ზოგიერთ განვითარებად ქვეყანას კი საერთოდ არ გააჩნია სტატისტიკური მონაცემები დაავადების პრევალენტობასთან დაკავშირებით. საკითხის შესწავლისთვის გამოყენებულ იქნა შემდეგი მონაცემთა ბაზა: CINAHL Plus with Full Text, Medline და PubMed. ლიტერატურა მიმოიხილავს კვლევებს, სადაც სამიზნე ჯგუფები არიან: სტილისტები, სილამაზისა და ტატუს სალონში მომუშავე პერსონალი. ლიტერატურული წყაროების შესწავლით გამოვლინდა რომ სხვადასხვა ქვეყნებში პერიოდულად ტარდება კვლევები C-ჰეპატიტის გავრცელების პრევენციაზე მიმართული ღონისძიებების ცოდნისა და მათი გამოყენების შესახებ სილამაზის სალონების პერსონალს შორის. არსებულმა ლიტერატურამ ნათლად წარმოაჩინა, რომ ჯანმრთელობისა და სილამაზის ინდუსტრიაში მომუშავე პერსონალის საფრთხის შემცველი ქცევა ასოცირებულია სისხლის გზით გადამდები დაავადებების, და მათ შორის, C ჰეპატიტის გავრცელების მაღალ მაჩვენებელთან. ესთეტიკური მედიცინა არის ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი თანამედროვე მსოფლიო ბაზარზე. ეს ფაქტი თავის მხრივ განაპირობებს სილამაზის სერვისების ყოველწლიურად ზრდას, რაც ხშირ შემთხვევაში მოიცავს ინვაზიურ პროცედურებს. პერსონალის რისკიანი ქცევა საფრთხის შემცველია როგორც პერსონალისთვის ასევე სერვისის მომხმარებლებისთვის. არსებობს სილამაზის სალონებისა და კლინიკებისთვის სპეციალურად შემუშავებული ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების გაიდლაინები, თუმცა, პერსონალის მიერ სტანდარტების დარღვევა საკმაოდ ხშირად ხდება. ლიტერატურის ძიების პროცესში რამოდენიმე სტატია იქნა ნაპოვნი, რომელიც აფასებს C ჰეპატიტის პრევალენტობას, ცოდნას, დამოკიდებულებას და პრაქტიკას სტილისტებს შორის შემდეგ გეოგრაფიულ რეგიონებში: ეგვიპტე, პაკისტანი ობუასის მუნიციპალიტეტი-განა, სანა სითი-იემენი, ბრაზილია, თურქეთი. აღნიშნულ კვლევებში მონაცემთა შეგროვებისთვის ავტორებმა გამოიყენეს შემდეგი მეთოდები: პირდაპირი ინტერვიუ პერსონალთან და დაკვირვება მუშაობის პროცესზე. ინტერვიუ მოიცავდა შემდეგ მახასიათებლებს: სოციალური, დემოგრაფიული მონაცემები, ზოგადი განათლების დონე, ცოდნის დონე დაავადებასთან მიმართებაში. ამავე დროს ჩატარდა სისხლის ტესტი, რათა გამოვლინათ პერსონალში დაავადების გავრცელების დონე. კვლევებმა აჩვენა, რომ პერსონალში დაავადების გადაცემის გზების შესახებ ცოდნის დონე არის საშუალო, მიუხედავად ამისა, დაავადების პრევენციისა და ინსტრუმენტთა სტერილიზაციის, უსაფრთხოების წესების დაცვის შესახებ ცოდნის დონე დაბალია. ავტორის რეკომენდაციით აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს პერსონალის ცნობიერების დონის ამაღლება უსაფრთხოების წესების დაცვით დაავადების პრევენციასთან მიმართებაში. კვლევებმა გამოავლინა მთავრობის ისეთი რეგულაციების დეფიციტი როგორიცაა - სილამაზის სალონებში ინფექციების კონტროლი. აქედან გამომდინარე ავტორების რეკომენდაციით სასურველია გატარდეს ღონისძიებები, რათა ამაღლდეს პერსონალის ცნობიერებისა და განათლების დონე HCV-სთან მიმართებაში, გამკაცრდეს მთავრობის რეგულაციები. 2010 წ. პაკისტანში და 2011 წ. თურქეთში ჩატარებული კვლევებით გამოიკვეთა, რომ განათლებისა და ცნობიერების დონის ამაღლება მნიშვნელოვნად აუმჯობესებს პერსონალის მუშაობის ხარისხს, და შესაბამისად ამცირებს დაავადების ინციდენტობას. პერსონალის ტრენინგები მნიშვნელოვნად აუმჯობესებენ მათი ცოდნის დონეს.

**აბრევიატურა:** HCV-C-ჰეპატიტი, WHO -ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია.

**საკვანძო სიტყვები:** C-ჰეპატიტი, პრევალენტობა, ინციდენტობა, სილამაზის სალონი, რეგულაციები.

## C ჰეპატიტის გავრცელება

რუსუდან ნატროშვილი<sup>1</sup>, ნონა მადრამე<sup>2</sup>

საქართველოს უნივერსიტეტი, ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა

<sup>1</sup>სტუდენტი ბაკალავრი, ჯანდაცვის ადმინისტრირება; <sup>2</sup> ხელმძღვანელი, დოქტორანტი, საზოგადოებრივი ჯანდაცვა

მსოფლიოსა და საქართველოშიც ყველაზე გავრცელებულია B და C ჰეპატიტები. მსოფლიოში C ჰეპატიტის ვირუსით (HCV) ინფიცირებულია დაახლოებით 200 მილიონი, ხოლო B ჰეპატიტის ვირუსით (HBV) – 350 მილიონი ადამიანი. საქართველოში ჩატარებული ეპიდემიოლოგიური კვლევების მონაცემებით, C ჰეპატიტის ვირუსით ინფიცირებულია მოზრდილი მოსახლეობის 6.7%, ქრონიკული B ჰეპატიტის გავრცელება კი – 1.4%-ია. B და C ჰეპატიტების პრევალენტობა გაცილებით მაღალია რისკ-ჯგუფებში. მაგალითად, ჩვენს ქვეყანაში ნარკოტიკების ინიექციური გზით მომხმარებლებში HCV-ს გავრცელება 68%-ს შეადგენს. რაც შეეხება A ჰეპატიტს, რომელიც მოსახლეობაში “ბოტკინის” დაავადების სახელით უფროა ცნობილი, იგი, როგორც წესი, სრული გამოჯანმრთელებით მთავრდება; ამიტომ ქრონიკული A ჰეპატიტი პრაქტიკულად არ გვხვდება. 2012 წელს ჩვენს ქვეყანაში C ჰეპატიტის 1847 შემთხვევა დაფიქსირდა, ინციდენტობა 100000 მოსახლეზე 41,7 (2011 წელს 2492 შემთხვევა, ინციდენტობა 56,2), მათ შორის მწვავე-181 შემთხვევა ანუ 9,8%, ინციდენტობა 4,3 (2011 წელს 46 ანუ 1,8%, ინციდენტობა 1,1) და ქრონიკული 1666 შემთხვევა ანუ 90,2%, ინციდენტობა 37,5 (2011 წელს - 2446 ანუ 98,2%, ინციდენტობა 55,1). C ჰეპატიტის ინციდენტობა 2011 წელთან შედარებით შემცირდა 25,8%-ით ქრონიკული ფორმის შემთხვევათა ხარჯზე. საქართველოში C ჰეპატიტის დიაგნოსტიკა 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან გახდა შესაძლებელი და 1996 წლიდან მისი რეგისტრირებული შემთხვევები განუხრელად მატულობდა. ამასთან B ჰეპატიტის ფორმების განაწილება საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ამ დაავადებების გადაცემის ახალი შემთხვევები ქვეყანაში ახალშობილთა გეგმიური იმუნიზაციის დაწყების შემდეგ ბავშვებში მცირდება და თუ ასაკობრივ სტრუქტურასაც გავითვალისწინებთ, შეიძლება ითქვას, რომ სამედიცინო მანიპულაციებით, ვერტიკალური მექანიზმით და სისხლის (ან სისხლის პრეპარატების) გადასხმით დაავადების გადაცემა მინიმუმამდეა დაყვანილი და გადაცემის ძირითადი შესაძლო გზებია სქესობრივი კონტაქტი ან ინტრავენური ნარკომანია. ბოლო წლების დინამიკა გვაფიქრებინებს, რომ პარენტერული ჰეპატიტების რეგისტრაციის სისტემაში მიღწეულია გარკვეული წინსვლა, რაც გამოწვეულია სტანდარტული განსაზღვრებების დანერგვით, დღეისათვის ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი პრობლემაა მოსახლეობაში B და C ჰეპატიტების გავრცელების შესახებ ინფორმაციის დეფიციტი. აღნიშნული ინფორმაცია დაავადებათა გავრცელების რეალური მასშტაბების დადგენის და ეფექტური პრევენციული თუ ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების შემუშავების საშუალებას არსებითად გაზრდის. მაღალი და საშუალო რისკის პირებმა აუცილებლად უნდა გაიარონ გამოკვლევა C ვირუსზე. ანალიზები უნდა ჩატარდეს იმ შემთხვევაშიც, თუ საინექციო ნარკოტიკებს პირი მოიხმარდა რამდენიმე წლის წინ. გამოკვლევა უნდა გაიაროს ყველა აივინფიცირებულმა პირმა. ბავშვებს, რომელთა დედაც ინფიცირებულია, გამოკვლევა უტარდებათ 12-18 თვის ასაკში. გამოკვლევა სჭირდება აგრეთვე სამედიცინო პერსონალს პაციენტის სისხლთან უნებლიე კონტაქტის შემდეგ. 2015 წელს საქართველოში ამოქმედდა C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა

**საკვანძო სიტყვები:** ჰეპატიტი C, გავრცელება

## ქრონიკული ჰეპატიტების გავრცელება, რისკები და მათი მართვა

სალომე გუდავაძე<sup>1</sup>, ვასილ ტყემელაშვილი<sup>2</sup>

საქართველოს უნივერსიტეტი, ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა

<sup>1</sup>მაგისტრი, ჯანდაცვის ადმინისტრირება; <sup>2</sup>ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ქრონიკული ჰეპატიტი წარმოადგენს ვირუსული და არავირუსული ეტიოლოგიის (ალკოჰოლი, აუტოიმუნური, მედიკამენტოზური, იდიოპათიური) მქონე ღვიძლის უჯრედების (ჰეპატოციტების) ანთებას, რომელიც მიმდინარეობს 6 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში და იწვევს ღვიძლის უჯრედების დაზიანებას შემდგომი ნეკროზით. ვირუსული ჰეპატიტის გამომწვევია A, B, C, D და E ჰეპატიტის ვირუსები, რომლებიც ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავდება ინფიცირების გზების, ადამიანის ორგანიზმზე მათი ზემოქმედების, მკურნალობისა და დაავადების გამოსავალის თვალსაზრისით. კერძოდ, A და E ჰეპატიტების გავრცელების ძირითადი გზაა ფეკალურ-ორალური. დასნეზოვნების მიზეზია: დაბინძურებული საკვები, ხელები, ესა თუ ის ნივთი, რომელიც შესაძლოა მოხვდეს პირის ღრუმში. მათთვის არ არის დამახასიათებელი ინფექციის ქრონიკული მიმდინარეობა. რაც შეეხება B, C და D ჰეპატიტებს, დასნეზოვნება ხდება კანისა და ლორწოვანი გარსის დაზიანებისას და მათზე ვირუსის შემცველი ნებისმიერი ბიოლოგიური სითხის მოხვედრის შემთხვევაში. აღნიშნული ჯგუფის ინფექციებს ქრონიკული ჰეპატიტების სტრუქტურაში წამყვანი ადგილი უკავიათ, რაც უდიდეს ტვირთს წარმოადგენს როგორც საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ასევე გლობალური ეკონომიკისათვის, რადგან ინფექციის ფონზე განვითარებული ღვიძლის კიბოსა და ციროზის მკურნალობა საკმაოდ დიდ დანახარჯებთან და გარდაცვალების მაღალ მაჩვენებლებთანაა დაკავშირებული. სწორედ ამიტომ, ვირუსული ჰეპატიტები, იმ უმთავრესი ინფექციური დაავადებების მსგავსად, როგორიცაა ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი, ტუბერკულოზი და მალარია, წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას მსოფლიო მასშტაბით. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით მსოფლიოში 130-150 მილიონამდე ადამიანი დაავადებულია C ჰეპატიტის ქრონიკული ფორმით. ევროპის რეგიონში 15 მილიონი ადამიანი C ჰეპატიტის ვირუსითაა ინფიცირებული, ხოლო ამ მიზეზით გარდაცვალების შემთხვევათა რიცხვი ყოველწლიურად შედაგენს 86,000. C ჰეპატიტით ინფიცირებულთა 2% არის ახალგაზრდა ასაკის. ამ ინფექციის პრევალენტობა ძალზე მაღალია ინტრავენური ნარკოტიკების მომხმარებლებში და აღწევს 98%-ს. დაინფიცირებულთა დაახლოებით 15-30% ში ვითარდება ღვიძლის ციროზი და კიბო. ამ უკანასკნელის განვითარებაში ასევე წამყვანი ადგილი უკავია B ჰეპატიტს, რომლის ქრონიკული ფორმით ევროპის რეგიონში მცხოვრები 14 მილიონამდე ადამიანია ინფიცირებული. ჩვენს ქვეყანაში B და C ჰეპატიტებით ავადობას ახასიათებს მატების ტენდენცია, დაავადებათა ქრონიკული ფორმების ხარჯზე, რისი ერთ-ერთი მიზეზია გასული საუკუნის 90-იან წლებში შემთხვევათა მწვავე ფორმების ეპიდემიოქება. 2012-2013 წლებში ყოველ 100,000 მოსახლეზე 45.5 დაავადებული იყო C ჰეპატიტით. რეგისტრირებული ახალი შემთხვევებიდან 9.4% მოდის მწვავე, ხოლო 90.6% - ახლად გამოვლენილ ქრონიკულ შემთხვევებზე. ინფექციის გავრცელების ძირითად შესაძლო გზებად ინტრავენური ნარკომანია და დაუცველი სქესობრივი კონტაქტი მიიჩნევა. საქართველოში 2015 წლიდან C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში დაწყებულია პაციენტთა მკურნალობა უახლესი ანტივირუსული პრეპარატებით (სოფოსბუვირი, ჰარვონი). ქრონიკული ჰეპატიტის ინციდენტობისა და ამ მიზეზით სიკვდილიანობის შემცირება, ინფიცირებულ პაციენტთა სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდა და ცხოვრების ხარისხის ამაღლება სავსებით შესაძლებელია პრევენციული ღონისძიებების გატარებით, რაც პირველ რიგში უნდა მოიცავდეს ინფიცირების რისკების შესახებ საზოგადოების ცნობადობის ამაღლებას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და ჯანმრთელობის პრომოციას.

**საკვანძო სიტყვები:** ქრონიკული ჰეპატიტი, C და B ჰეპატიტის ვირუსები, რისკის ფაქტორები, ინტრავენური ნარკომანია, დაუცველი სქესობრივი კონტაქტი, ავადობა და სიკვდილიანობა, ღვიძლის ციროზი და კიბო, პრევენცია, ჯანსაღი ცხოვრების წესი, ელიმინაცია, ჯანმრთელობის პრომოცია.

## სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებების რისკის ფაქტორების შეფასება (ლიტერატურის მიმოხილვა) ქეთევან ხოჭოლავა<sup>1</sup>, ვასილ ტყემელაშვილი<sup>2</sup>

საქართველოს უნივერსიტეტი, ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა

<sup>1</sup>მაგისტრანტი, საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკა; <sup>2</sup>ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებებიდან ყველაზე გავრცელებულია გულის იშემიური დაავადება, სტენოკარდია, მიოკარდიუმის ინფარქტი, ინსულტი, სხვადასხვა სახის თრომბოზები და ემბოლიები. მსოფლიოს მასშტაბით, აღნიშნული დაავადებები სიკვდილის გამომწვევი ნომერ პირველი მიზეზია. WHO-ის 2012 წლის მონაცემებით, დაახლოებით 17.5 მილიონი ადამიანი იღუპება გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით, რაც გლობალური სიკვდილიანობის 31%-ს წარმოადგენს. სიკვდილიანობის რიცხვმა 2030 წლისათვის შესაძლოა 23.6 მილიონამდე მიაღწიოს. აქედან, დაახლოებით 7.4 მილიონი ადამიანი გარდაიცვლება გულის კორონარული დაავადებით, ხოლო 6.7 მილიონი-ინსულტით. აშშ-ში ყოველდღიურად დაახლოებით 2, 150 ადამიანი იღუპება ამ დაავადებებით, ანუ ~ ერთი ადამიანი ყოველ 40 წამში. CDC-ის 2014 წლის მონაცემებით, ინციდენტობის სტრუქტურაში 54.8% ჰიპერტენზიაზე მოდიოდა, 21.8% გულის იშემიურ, 4.8%-ცერებროვასკულურ დაავადებებზე. საქართველოში ავადობის სტრუქტურაში გულის იშემიური დაავადებები 1-ლ ადგილს იკავებს და რეგისტრირებულ შემთხვევათა რაოდენობის 19.7%-ს შეადგენს. სისხლის მიმოქცევის სისტემის ძირითადი დაავადებები, რომელთაც წამყვანი ადგილი უჭირავს მსოფლიოს მასშტაბით სიკვდილიანობის გამოწვევაში, გამოწვეულია ისეთი რისკ-ფაქტორებით, რომელთა კონტროლი, მკურნალობა და მოდიფიცირება შესაძლებელია. ესენია: ჰიპერქოლესტერინემია, მაღალი არტერიული წნევა, ჭარბი წონა, თამბაქოს მოხმარება, ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება, არაჯანსაღი კვება, ადინამია, ნერვული სტრესი, შაქრიანი დიაბეტი. თამბაქოს მოხმარება იწვევს ან ხელს უწყობს უამრავი დაავადების განვითარებას. მაღალია მიოკარდიუმის ინფარქტის, ცერებროვასკულარული დაავადებების განვითარების რისკი. მისი მოხმარება იწვევს დიაბეტის მე-2 ტიპს და ამწელებს მის კონტროლს. თამბაქო ზრდის ინფარქტისა და ინსულტის განვითარების რისკს 2-4-ჯერ. აშშ-ს მთავარი ქირურგის 2014 წლი ანგარიშით თამბაქო წარმოადგენს მნიშვნელოვან რისკ-ფაქტორს ცერებროვასკულარული დაავადებების განვითარებაში და მისთან არის დაკავშირებული ყოველი მესამე გარდაცვალების შემთხვევა. სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებებით სიკვდილიანობის დაახლოებით 29%-ს თამბაქოს მოხმარებასთან არის დაკავშირებული. ჭარბი წონა და სიმსუქნე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორია სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებების განვითარებაში. ჭარბი წონის ადამიანი არტერიული ჰიპერტენზიის, დიაბეტისა და ათეროსკლეროზის განვითარების მაღალი რისკის ქვეშ იმყოფება. სიმსუქნე იწვევს გულის უკმარისობას, რამაც შესაძლოა ადამიანის გარდაცვალება გამოიწვიოს. ინსულტის განვითარებაშიც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სიმსუქნეს და ჭარბ წონას. დიაბეტის მე-2 ტიპი ძირითადად გავრცელებულია ჭარბწონიან ადამიანებში, რომელიც შემდგომში იწვევს გულის იშემიურ დაავადებებს, ინსულტს და ნაადრევ სიკვდილს. WHO-ის 2004 წლის მონაცემებით, მსოფლიოს მასშტაბით 2,5 მილიონი ადამიანის გარდაცვალება ჭარბი ალკოჰოლის მიღებამ გამოიწვია (3.8%). აქედან დაახლოებით 50% სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებებზე მოდიოდა, ხოლო ავადობის გლობალური ტვირთის დაახლოებით 4,5% სწორედ ალკოჰოლის ჭარბ მიღებას უკავშირდებოდა. არასაკმარისი ფიზიკური აქტივობა შედის სიკვდილობის პირველ 10 რისკ-ფაქტორში და ერთ-ერთი მთავარი საფრთხეა ისეთი არაგადამდები დაავადებებისთვის, როგორებიცაა სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები, სიმსივნეები და დიაბეტი. ფიზიკურ აქტივობას მოაქვს მნიშვნელოვანი სარგებელი და ხელს უწყობს არაგადამდები დაავადებების პრევენციას. სტრესი ცვლის ორგანიზმის ქცევას, მოქმედებს გულ-სისხლძარღვთა და ნერვულ სისტემებზე. სტრესი იწვევს არარეგულარულ გულის ცემას, ზრდის სისხლის შედედების რისკს. ყველაფერმა ამან კი შესაძლოა გამოიწვიოს სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებების განვითარება. დეპრესიის ადრეულ გამოვლინებას დიდი მნიშვნელობა აქვს გულით დაავადებული პაციენტებისთვის.

**აბრევიატურა:** WHO- ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია, CDC- დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრები.



## ჰიპერტონული დაავადების გავრცელება, რისკები და მათი მართვა

ნანა გვათუა<sup>1</sup> ნათია სხვიტარიძე<sup>2</sup>

საქართველოს უნივერსიტეტი, ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა  
<sup>1</sup>სტუდენტი ბაკალავრი, ჯანდაცვის ადმინისტრირება; <sup>2</sup>ხელმძღვანელი, ჯანდაცვის მენეჯმენტის დეპარტამენტის უფროსი, დოქტორანტი

არტერიული ჰიპერტენზია ერთ-ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიაა და არტერიული წნევის მომატებას ნიშნავს. არტერიული წნევა ორგანიზმის ცხოველქმედების ერთ-ერთი პარამეტრია და მას ორი ძირითადი ფაქტორი განაპირობებს: გულის წუთმოცულობა და სისხლძარღვთა პერიფერიული წინააღმდეგობა. არტერიულ წნევას ორი მაჩვენებლით განსაზღვრავენ: სისტოლური წნევა და დიასტოლური წნევა. სისტოლურ წნევას განსაზღვრავს ის ძალა, რომლითაც გული სისხლს უმსხვილეს სისხლძარღვებში გადაისვრის, ხოლო დიასტოლური წნევა გულის მოდუნების პერიოდში არტერიათა კედლებზე მოქმედი ძალით განისაზღვრება. არტერიული ჰიპერტენზია დაავადებაა, რომლის დროსაც ვითარდება როგორც სისტოლური, ისე დიასტოლური წნევის მომატება. იმისდა მიხედვით, რამდენად არის მომატებული სისტოლური და დიასტოლური წნევის მაჩვენებლები, ლაპარაკობენ სხვადასხვა ხარისხის არტერიულ ჰიპერტენზიაზე: პირველი სტადია (მსუბუქი) სტადია; მეორე სტადია (საშუალო); მესამე სტადია (მძიმე). არსებობს არტერიული ჰიპერტენზიის ორი ძირითადი ფორმა: პირველადი, ანუ ესენციური ჰიპერტენზია ანუ ჰიპერტონული დაავადება და მეორადი (სიმპტომური) ფორმა. ესენციური ჰიპერტენზიის რისკ-ფაქტორებია: მემკვიდრეობითი განწყობა, ასაკი, ჭარბი წონა და სიმსუქნე, არარაციონალური კვება, დისლიპიდემია, მჯდომარე ცხოვრების წესი, დაბალი ფიზიკური აქტივობა, ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება, თამბაქოს მოხმარება, სტრესული სიტუაციის გადალახვის უუნარობა, შრომისა და დასვენების არასწორი მონაცვლეობა. რაც შეეხება მეორად არტერიულ ჰიპერტენზიას, იგი ვითარდება რომელიმე დაავადების ფონზე და უშუალოდ ამ დაავადების სიმპტომს წარმოადგენს. ასეთი დაავადებებია: თირკმლის პათოლოგიები, ენდოკრინული სისტემის დაავადებები, ნევროლოგიური დაავადებები, გულ-სისხლძარღვთა სისტემის სხვა დაავადებები. ამ შემთხვევაში არტერიული წნევის მაჩვენებლების ნორმალიზებისათვის აუცილებელია ძირითადი გამომწვევი დაავადების მკურნალობა. მეორადი არტერიული ჰიპერტენზიის შესაძლო გართულებებია: რეტინოფატია, ენდარტერიტი, გულის უკმარისობა, სტენოკარდია, ინფარქტი, ინსულტი და ა.შ. არტერიული ჰიპერტენზიის დიაგნოზის დასმის შემთხვევაში ძირითადად ინიშნება მედიკამენტოზური მკურნალობა. თუმცა, თუ წნევა გარკვეული ჯგუფის პრეპარატების მიღების შემდეგაც არ დარეგულირდა, შესაძლოა, გამოყენებული იქნეს მცირე ინვაზიური მეთოდები (კორონალური არტერიების შუნტირება სისხლის მიმოქცევის ხელოვნური აპარატის თანხლებით ან სისხლის ხელოვნური მიმოქცევის აპარატის გარეშე, მომუშავე გულზე, სარქველოვანი აპარატის პლასტიკა, პროთეზირება და ა.შ). არტერიული ჰიპერტენზიის პრევენციისთვის და მკურნალობის პარალელურად, აუცილებელი პირობაა მავნე ფაქტორების მკაცრად შეზღუდვა და ცხოვრების სწორი და ჯანსაღი რეჟიმის დაცვა: წონის დაკლება, ფიზიკური აქტივობა, მარილიანი და ცხიმოვანი საკვების შეზღუდვა, სიგარეტსა და ალკოჰოლზე უარის თქმა, ძილის რეჟიმის მოწესრიგება და ა.შ. დამატებით, 40-45 წელს ზემოთ მყოფმა ყველა ადამიანმა რეგულარულად უნდა აკონტროლოს არტერიული წნევა და საჭიროების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართოს ექიმს.

**საკვანძო სიტყვები:** არტერიული ჰიპერტენზია, რისკ-ფაქტორები, ცხოვრების ჯანსაღი წესი.

## ჯანსაღი კვების მნიშვნელობა ცივილიზაციის დაავადებების რისკების რედუქციაში

ივანე ბურჯანაძე<sup>1</sup>, თეა გამეზარდაშვილი<sup>2</sup>

საქართველოს უნივერსიტეტი, ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა  
<sup>1</sup>სტუდენტი ბაკალავრი, ჯანდაცვის ადმინისტრირება; <sup>2</sup>ხელმძღვანელი, მედიცინის აკადემიური  
დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

დღეისათვის მედიცინამ და ჯანდაცვამ მიაღწია იმ დონეს, რომლითაც მაქსიმალურად არის შესაძლებელი ადამიანის ჯანმრთელობის გაუმჯობესება, სიცოცხლის გახანგრძლივება, თუმცა ეს არ კმარა, საჭიროა მოსახლეობის გაჯანსაღების სხვა გზების ძიება. სწორედ ეს გზაა ცხოვრების ჯანსაღი წესი, რომელიც ადამიანმა თავად უნდა დაიცვას და რომლის არსიც არის სულისა და სხეულის ჯანმრთელობის შენარჩუნება თვითშეზღუდვისა და საგანგებო ვარჯიშების მეშვეობით. ჯანსაღი წესი არის ადამიანის გონივრული ქცევის სისტემა, ზომიერება ყველაფერში, ოპტიმალური მოძრაობითი რეჟიმი, გაკაჟება, ცხოვრების რაციონალური რეჟიმი, მავნე ჩვევებზე უარის თქმა, სწორი კვება და სხვ. რაციონალური კვება უმნიშვნელოვანესი პირობაა ჯანმრთელობის შენარჩუნების, ადამიანის ორგანიზმის ზრდისა და განვითარებისათვის. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის უკანასკნელი მონაცემებით ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობას 15%-ში განსაზღვრავს სამედიცინო სამსახურის ორგანიზაცია, 15%-ში - გენეტიკური თავისებურებები, ხოლო 70%-ში - ცხოვრების წესი და კვება. სწორი კვება საშუალებას გვაძლევს თავიდან ავიცილოთ ან შევამციროთ ქრონიკული დაავადებების რისკი, შევინარჩუნოთ ჯანმრთელობა და მიმზიდველი გარეგნობა, დავრჩეთ მოხდენილები და გამოვიყურებოდეთ ახალგაზრდულად. საკვების სრულფასოვნება მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება რაციონის ბალანსირებულობით ისეთი საკვები ნივთიერებების მიხედვით როგორიცაა: ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები, ვიტამინები და მინერალური ნივთიერებები. ცილები - "აგურებია", რომლისაგანაც შენდება ორგანიზმი და სიცოცხლისათვის ყველა აუცილებელი ნივთიერებები: ჰორმონები, ფერმენტები, ვიტამინები და სხვა სასარგებლო ნივთიერებები. ცხიმები ორგანიზმს უზრუნველყოფენ ენერგიით, ცხიმში ხსნადი ვიტამინებით და სხვა სასარგებლო ნივთიერებებით. ნახშირწყლები სიცოცხლისათვის აუცილებელი ენერგიის ძირითადი წყაროა. საკვები ბოჭკოები - ხელს უწყობს საჭმლის კარგად მონელებასა და შეთვისებას, აუცილებელია გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისა და კიბოს პროფილაქტიკისათვის. მინერალური ნივთიერებები და ვიტამინები უზრუნველყოფენ ნივთიერებთა ცვლის პროცესებსა და საერთოდ, ორგანიზმის ნორმალურ ფუნქციონირებას. ბოლო წლებში სწორი კვება მეტად აქტუალური თემა არის, რადგანაც, არაჯანსაღი კვებით გამოწვეული დაავადებები ხშირად სასიკვდილო რისკს ატარებენ, ერთ-ერთი ასეთი გამოვლინება არის მეტაბოლური სინდრომი, რაც ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის დარღვევასთან დაკავშირებულ დარღვევებს აღნიშნავს. ეს სინდრომი 21-ე საუკუნის დიდი გამოწვევა არის და აღინიშნავს კლასტრად წოდებულ დარღვევათა კომპლექსს, რომელსაც ახასიათებს ცენტრალური ტიპის სიმსუქნე, გლუკოზისადმი ტოლერანტობის დარღვევა, ჰიპერტენზია და ათეროგენული დისლიპიდემია. რაც შეეხება სინდრომის რისკებს, ის შემდეგი რისკ-ფაქტორების ერთობლიობას მოიცავს: სიმსუქნე, განსაკუთრებით გამოხატული წელის გარშემოწერილობის ზრდით, ე.წ. "ლიპი", რომელსაც მიაშვავებენ ვაშლს. მაღალი არტერიული წნევა (130/85 მმ.ვწყ/სვეტზე მეტი), სისხლში გლუკოზის მომატებული დონე და ლიპიდური სპექტრის დარღვევა. დაავადების პრევენციისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ცხოვრების წესზე, რადგანაც მას ძალიან დიდი გავლენა აქვს მეტაბოლური სინდრომის ყველა კომპონენტზე. ასევე განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს ჭარბი წონის შემცირებასა და ფიზიკური აქტიურობის გაზრდაზე. მეტაბოლური სინდრომით დაავადებულ პირებს უნდა შევთავაზოთ ფიზიკური აქტივობა და წონის კონტროლი. დადგენილია, რომ სხვა სარგებლობის გარდა, 10%-ით წონის დაქვეითება ამცირებს საერთო სიკვდილობას 20%-ით. არც ერთ სხვა სახის ინტერვენციას არ გააჩნია მსგავსი შედეგი. ამრიგად, თუ გვსურს ვიყოთ ჯანმრთელნი და ვიცხოვროთ დიდი ხანს, უარი უნდა ვთქვათ მავნე ჩვევებზე, ვიკვებოდეთ ზომიერად და ჯანსაღად, ვიმოძრაოთ ხშირად, და ვიყოთ ფიზიკურად აქტიურნი. ჯანსაღი ცხოვრების წესების დაცვით შევამცირებთ მრავალი ქრონიკული დაავადების განვითარების რისკს, გავზრდით სიცოცხლის ხანგრძლივობას და მის ხარისხს.



## ჯანდაცვის ორგანიზაცია

## Healthcare Organization



## საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის ხარჯთ-ეფექტურობის კვლევა

სიმონ გაბრიჭიძე<sup>1</sup>

საქართველოს უნივერსიტეტი, ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა

<sup>1</sup>დოქტორანტი, საზოგადოებრივი ჯანდაცვა

საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ხარჯთ-ეფექტურობის შესაფასებლად 2015-2016 წწ. ჩატარდა კვლევა, რომლის ფარგლებში განხორციელდა ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის, ასევე სხვადასხვა ვებ-გვერდებზე არსებული მასალის ანალიზი. თვისობრივი კვლევის ფარგლებში გამოიკითხა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლები (სულ 31 ექიმი და მენეჯერი). რაც შეეხება რაოდენობრივ კვლევას, სულ გამოიკითხა ქალაქ ბათუმსა და გორის რაიონში მცხოვრები საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის 408 ბენეფიციარი. კვლევამ აჩვენა, რომ პროგრამა დაბალი ხარჯთ-ეფექტურობით გამოირჩევა და გასული 3 წლის მანძილზე, ფაქტიურად, არცერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი არ გადადგმულა პროგრამის განმახორციელებლების მხრიდან სახელმწიფო სახსრების ხარჯვის ეფექტურობის ასამაღლებლად. მართალია, მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში პროგრამული დანახარჯები 2015 წელს 1,8%-ს შეადგენდა, მაგრამ არსებული, ყოველწლიური 0,8%-იანი ზრდის შემთხვევაში, უახლოეს მომავალში, ეს ციფრი საგანგაშოდ გაიზრდება. პროგრამის დაბალი ხარჯთ-ეფექტურობის უპირველესი მიზეზი არის ის, რომ ჯანდაცვის სამინისტროში არ არსებობს კვალიფიციური ანალიტიკური სამსახური, რომელიც მოახდენს პროგრამის დეტალურ ანალიზსა და ეფექტურ დაგეგმვას. ანალოგიური პრობლემები არსებობს პროგრამის მონიტორინგის მხრივაც. პროგრამა ნაკლებ აქცენტს აკეთებს პირველად ჯანდაცვასა და დაბალხარჯიან ამბულატორიულ მომსახურებაზე, რაც თვით პროგრამის ძირითად მიზნებს ეწინააღმდეგება. საჭიროა მოიძებნოს ანაზღაურების სხვა დამატებითი მექანიზმი, რათა ხელი შეეწყოს პირველადი ჯანდაცვის შემდგომ განვითარებას. ამგვარი მიდგომა გაზრდის პჯდ-ში დასაქმებულთა რაოდენობას და მოტივაციას, რაც პოზიტიურად იმოქმედებს პაციენტთა ლოდინის დროის შემცირებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბაზარზე დარჩება მხოლოდ მსხვილი სამედიცინო დაწესებულებები და პირველად ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა მნიშვნელოვნად გამწვავდება. აუცილებელია პროგრამის ხარჯვით ნაწილში სოციალურად შეჭირვებული პირების მედიკამენტოზური უზრუნველყოფის საკითხის გადახედვა, ვინაიდან ამ კატეგორიის მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი ვერ ყიდულობს მედიკამენტებს. ასეთ შემთხვევებში, ექიმთან კონსულტაციასა და დიაგნოსტიკაში ჩადებული თანხები ფაქტიურად არახარჯთ-ეფექტურია, ვინაიდან დაავადების განკურნება არ ხდება. სახელმწიფო თანხების უფრო ეფექტური ხარჯვის თვალსაზრისით აუცილებელია, როგორც ბენეფიციართა, ასევე გეგმიურ მომსახურებაზე 70%-იანი თანაგადახდის დიფერენცირების საკითხის შემდგომი შესწავლა და სათანადო გადაწყვეტილების მიღება. ასევე საჭიროა ზუსტად გაირკვეს და ინდივიდუალურად განისაზღვროს კერძო დაზვევიდან პროგრამის “მინიმალურ პაკეტში” მოხვედრილი იმ ბენეფიციარების საჭიროებები, რომლებსაც კერძო დაზღვევა შეუწყდათ სამსახურის დაკარგვის, ან სხვა, მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. მიზანშეწონილია სახელმწიფომ შეიმუშავოს დაავადებების განფასების ეფექტური მექანიზმები, რომლებიც მინიმუმამდე შეზღუდავს პროვაიდერი დაწესებულებების მიერ ნოზოლოგიური კოდებით მანიპულირების საშუალებას. ასევე საჭიროა ზუსტად და უფრო დაწვრილებით განისაზღვროს პროვაიდერების ანაზღაურების ვადები და სხვა მექანიზმები. პროვაიდერების მხრიდან მორალური რისკის პრობლემის შესამცირებლად მიზანშეწონილია იმ მეთოდების გამოყენება, რომლებიც საერთაშორისო პრაქტიკაში ფართოდ არის დანერგილი. ამის მაგალითია მაღალი ჯარიმების შემოღება მსგავს გამოვლენილ შემთხვევებზე, რაც მაქსიმალურად ზღუდავს პროვაიდერს წავიდეს რისკიან ქმედებაზე და ამის შედეგად არაკანონიერი ქმედებების რიცხვი მნიშვნელოვნად მცირდება. როგორც კვლევამ აჩვენა მამაკაცები უფრო იშვიათად, თუმცა ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობით, ხშირად დაგვიანებით აკითხავენ სამედიცინო დაწესებულებებს. შესაბამისად, მათი მკურნალობა, ქალებთან შედარებით უფრო მეტ დანახარჯებს უკავშირდება. ეს ფაქტი გათვალისწინებული უნდა იყოს ჯანდაცვის ხელისუფლების მიერ დაავადებათა პრევენციასა და ცხოვრების ჯანსაღი წესის კამპანიების დაგეგმვის დროს - მამაკაცების მიმართ ასეთი კამპანიები გარკვეული სპეციფიკურობით და განსხვავებული სტრატეგიით უნდა ხასიათდებოდეს.

## გერმანიის ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემის მიმოხილვა

თინათინ შარიფაშვილი<sup>1</sup>, რამაზ ურუშაძე<sup>2</sup>

ბრემენის უნივერსიტეტი<sup>1</sup>,

საქართველოს უნივერსიტეტი, ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა<sup>2</sup>

<sup>1</sup>სტუდენტი ბაკალავრი, საზოგადოებრივი ჯანდაცვა; <sup>2</sup>ხელმძღვანელი, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დეპარტამენტის უფროსი

სახელმწიფო სამედიცინო სადაზღვევო სისტემა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 130 წელს ითვლის. ის ჯერ კიდევ 1883 წელს, კანცლერ Otto Bismark-ის მიერ იქნა შექმნილი, რომლის მთავარი მიზანი დასაქმებულთა სოლიდარობის პრინციპზე დაფუძნებულ ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემაში მათი გაერთიანება იყო. იგი ორგანიზებული ე.წ. “კლასიკური” სოციალური დაზღვევის მაგალითია და ცნობილია, როგორც “ზისმარკის” მოდელი. ამჟამინდელი კანონმდებლობის მიხედვით 2009 წლიდან ყველა მოქალაქის დაზღვევა მანდატორულია. დღესდღეობით სახელმწიფო სადაზღვევო სისტემას წამყვანი როლი უკავია ზოგადად სადაზღვევო სისტემაში. ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 90% სახელმწიფო სადაზღვევო სისტემაშია გაეწეებული. სახელმწიფო სადაზღვევო სისტემის პარალელურად 1945 წლიდან კერძო სადაზღვევო სისტემა ამოქმედდა, რომლის ამოცანა იმ შემთხვევათა დაფარვაა, რისიც დაზღვეულთა მიერ ფაქტობრივად ვერ ხდებოდა. დასავლეთ გერმანიაში კერძო სადაზღვევო სისტემის ჩამოყალიბებაში წვლილი არასახელმწიფო სექტორში მომუშავეებმა შეიტანეს. კერძო სადაზღვევო სისტემა, თავიდან მხოლოდ ყოფილი საბჭოთა კავშირის ზონაში, ანუ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში არ მოქმედებდა. ამ ორ სექტორს შორის განსხვავება საკმაოდ ნათელი იყო. სახელმწიფო სამედიცინო სადაზღვევო სისტემის დაფინანსება შემოსავლებით ხდება. შემოსავლებში ძირითადად იგულისხმება, დასაქმებულის დარიცხული ხელფასის 7,3% და დამსაქმებლის მიერ გადახდილი 14,6 %. ეს შენატანები თავს იყრის ჯანდაცვის ფონდში, ე.წ. “საავადმყოფო საღაროებში” და საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფო სადაზღვევო სისტემის მიერ ხდება მითი გადანაწილება რისკების მიხედვით და მომსახურების შესყიდვა. კერძო სადაზღვევო სისტემაში, ამჟამად გერმანიის მოსახლეობის მხოლოდ 10%-ია გაერთიანებული, რომელთა დიდი ნაწილს ფინანსურად შეძლებული და კერძო სექტორში მომუშავენი შეადგენენ. იმისათვის რომ დაცულ იქნას სოლიდარობის პრინციპი, კერძო სადაზღვევო სისტემაში დაზღვეული დასაქმებული პირები იხდიან მეტ გადასახადს ვიდრე სხვა კონტინგენტი. დაზღვევის სახელმწიფო სისტემა სოციალური დაზღვევის ნაწილია, რომელიც მოწოდებულია მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოს ყოველი მოქალაქის კონსტიტუციური უფლებები ისარგებლოს სამედიცინო მომსახურებით. სადაზღვევო სისტემის ძირითადი პრინციპი - სოლიდარობის პრინციპია, რომელიც შემოსავლების მიუხედავად საზოგადოების ყველა წევრის ერთ და იგივე გადასახადს გულისხმობს. კერძო სადაზღვევო სისტემა არ წარმოადგენს სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ნაწილს, ეს არის კერძო ბიზნესსაქმიანობა, რომელიც წმინდა ეკონომიკურ მოგებას ემსახურება. სახელმწიფო სადაზღვევო სისტემის და კერძო სადაზღვევო სისტემის დაფინანსება სწორედ ამ ნიშნით განსხვავდება ერთმანეთისგან, სადაც სახელმწიფო სადაზღვევო სისტემის დაფინანსება ინდივიდუალურად, შემოსავლების მიხედვით ხდება და ყველა სახელმწიფო სადაზღვევო სისტემაში დაზღვეულს ერთი და იგივე პირობებს სთავაზობენ, ხოლო კერძო სადაზღვევო სისტემაში კი გადასახადები ინდივიდუალურად პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით ისაზღვრება. რაც უფრო მეტის გადახდა შეუძლია კერძოდ დაზღვეულს მით უფრო მეტ შემოთავაზებებს მიიღებს სადაზღვევო სისტემის გეგმით. სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით გერმანიაში ფუნქციონირებს სამედიცინო დაზღვევის როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სისტემა. მოქმედი კანონმდებლობით 2007-2009 წლების განმავლობაში ქვეყნის ყველა მოქალაქე უნდა ყოფილიყო დაზღვეული კერძო, ან სახელმწიფო სადაზღვევო სისტემაში. მიუხედავად ერთნაირი მიზნებისა, განსხვავება ამ ორ საფეხურიან სისტემას შორის საკმაოდ დიდია კერძო სადაზღვევო სისტემის პაციენტებს არ უწევთ ჰოსპიტალიზაციის ლოდინი, მასში გაერთიანებულ ექიმთა მომსახურება კერძო პაციენტების შემთხვევაში მაღალანაზღაურებადია. ეს გარემოება გარკვეულ უკმაყოფილებას იწვევს საზოგადოებაში. ცხადია, რომ სახელმწიფო სადაზღვევო სისტემას გარკვეული ხარვეზებიც გააჩნია - ხანგძლივი რიგები ჰოსპიტალიზაციასთვის. გერმანიაში, სამომავლო ალტერნატივად ე.წ. (Bürgerversicherung) სახალხო დაზღვევის სისტემაზე გადასვლა მიიჩნევა.

## სამედიცინო სერვისების მისაღებად მოსახლეობის საზღვარგარეთ გასვლის მიზეზების ანალიზი თინათინ ჭურაძე<sup>1</sup>, ოთარ ვასაძე<sup>2</sup>

საქართველოს უნივერსიტეტი, ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა  
<sup>1</sup>მაგისტრი, ჯანდაცვის ადმინისტრირება; <sup>2</sup>ხელმძღვანელი, მედიცინის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

გაანალიზებული იქნა 2014-2015 წწ ჩათვლით სამედიცინო სერვისების მისაღებად საზღვარგარეთ გამგზავრებული 670 საქართველოს მოქალაქის ქეისი. საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ დაფინანსებული იყო 391 (საერთო რაოდენობის 61.1%), თბილისის მერიის მიერ - 253 (37.7 %), ხოლო ფონდ „სოლიდარობის“ მიერ - 26 (1.2%) პაციენტი. სულ სამედიცინო სერვისების მისაღებად საზღვარგარეთ გამგზავრებულ პაციენტთა შორის 52,7% იყო მამრობითი სქესის, ხოლო 47,3% - მდედრობითი. სამედიცინო სერვისების მისაღებად საზღვარგარეთ გამგზავრებულ საქართველოს მოქალაქეთა ასაკობრივ ჯგუფებად დაყოფამ ცხადყო, რომ ყველაზე მეტი - 123 პაციენტი (საერთო რაოდენობის 18.4%) 0-5 წლის ასაკისა იყო. მომდევნო ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფი - 101 პაციენტი (საერთო რაოდენობის 15.1%) 6-15 წლის ასაკობრივ ჯგუფს წარმოადგენდა. სამედიცინო მომსახურების მისაღებად საზღვარგარეთ გამგზავრებულ საქართველოს მოქალაქეთა მესამედზე მეტი (33.5%) ბავშვები იყვნენ, რაც აუცილებელს ხდის შეფასდეს ქვეყანაში არსებული პედიატრიული სერვისების სპექტრი და ხარისხი. სამედიცინო ტურიზმის ფარგლებში საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა გამგზავრების მიზეზები შესაძლებელია პირობითად 4 ჯგუფად დავყოთ - დიაგნოსტიკა, მკურნალობა, რეაბილიტაცია და წამლების შეძენა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ 11 პაციენტს დაუფინანსდა როგორც დიაგნოსტიკა, ისე მკურნალობა, ანუ 670-მა პაციენტმა მოიხმარა 686 სერვისის ერთეული. აღნიშნული შემთხვევებიდან 151 (22%) იყო სადიაგნოსტიკო, 477 (69%) - სამკურნალო, 42 (6%) სარეაბილიტაციო და 16 შემთხვევაში (3%) მოხდა წამლის შეძენა. არსებული სტატისტიკური მასალის ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ ქართველი პაციენტები უმრავლეს შემთხვევაში სამკურნალო თუ სხვა სამედიცინო სერვისის მისაღებად თურქეთს სტუმრობდნენ (შემთხვევათა საერთო რაოდენობის 63%). შემდგომ მოდის გერმანია, სადაც სამედიცინო მომსახურების მისაღებად გაემგზავრა პაციენტთა საერთო რაოდენობის 18%, ისრაელი - 6%, რუსეთი - 3% და ავსტრია - 2%. დანარჩენ ქვეყნებში, როგორიცაა უკრაინა, ბელორუსია, საფრანგეთი, პოლონეთი, ჩინეთი, შვეიცარია, სომხეთი, აშშ, იტალია, ფინეთი, ესპანეთი და ჩეხეთი გამგზავრებულ პაციენტთა წილი მერყეობდა 1.5%-დან 0.3%-მდე, რაც ჯამში პაციენტთა საერთო რაოდენობის 8%-ის ტოლი იყო. მოპოვებული მონაცემების ანალიზის შედეგად გამოვლინდა იმ დაავადებათა 13 ძირითადი კლასი, რომელთა სამკურნალოდაც საზღვარგარეთ მიემგზავრებოდნენ პაციენტები. ესენია: ინფექციური და პარაზიტული დაავადებები, ახალწარმონაქმნები, ენდოკრინული სისტემის, კვების, ნივთიერებათა ცვლის და იმუნიტეტის დარღვევები, სისხლის და სისხლმზად ორგანოთა დაავადებები, ნერვული სისტემის და გრძნობათა ორგანოების დაავადებები, სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები, სასუნთქ ორგანოთა დაავადებები, საჭმლის მომნელებელ ორგანოთა დაავადებები, შარდ-სასქესო სისტემის დაავადებები, ძვალკუნთოვანი სისტემის და შემაერთებელ ქსოვილთა დაავადებები, თანდაყოლილი ანომალიები, სიმპტომები და არაზუსტად აღნიშნული მდგომარეობები, ტრავმები და მოწამვლები. ყველაზე ხშირად საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეები მიემგზავრებოდნენ კიბოს დიაგნოსტიკის ან მკურნალობის გამო. ასეთ შემთხვევათა რაოდენობა 300 იყო, რამაც დიაგნოზების საერთო რიცხვის 42.8% შეადგინა. პაციენტთა მიერ საზღვარგარეთ მოხმარებული სამედიცინო მომსახურების ფინანსური ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ სამედიცინო მომსახურების მისაღებად საქართველოს მოქალაქეთა საზღვარგარეთ გამგზავრების 670 შესწავლილი შემთხვევის დასაფინანსებლად დაიხარჯა ჯამში დაახლოებით ათი მილიონი ლარი. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიღებულ სერვისებს შორის ჭარბობდა სამკურნალო პროცედურები. აღნიშნული კვლევის საფუძველზე ნათლად ჩანს ქვეყანაში კიბოს სადიაგნოსტიკო და სამკურნალო სერვისების განვითარების აუცილებლობა, რაც საშუალებას მისცემს მოსახლეობას, ნაკლები ფინანსური დანახარჯებით საკუთარ სამშობლოში მიიღოს საჭირო სამედიცინო მომსახურება, რათა ის თანხები რომლებიც საზღვარგარეთ გადის, დარჩეს ისევ ქვეყანაში და კვლავ პაციენტებსა და სამედიცინო სერვისების გაუმჯობესებას მოხმარდეს.



**სასწრაფო სამედიცინო დახმარების სერვისების მიწოდების სტრუქტურული ცვლილებების ანალიზი საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ამოქმედების შემდეგ**  
 ნინო ლოჩოშვილი<sup>1</sup>, ვასილ ტყეშელაშვილი<sup>2</sup>

საქართველოს უნივერსიტეტი, ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა

<sup>1</sup>მაგისტრი, საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკა; <sup>2</sup>ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

კვლევის შედეგად შესწავლილი იქნა 2013 წლის იანვარ-თებერვალი საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ამოქმედებამდე და 2014 წლის იანვარი-თებერვალი საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ამოქმედების შემდგომი პერიოდის, სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის სერვისების მოთხოვნა მიწოდების სტრუქტურის ანალიზი, დიფერენცირება მოხდა სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისა და ცვლადებზე საცხოვრებელი ადგილის, სქესისა და ასაკის მიხედვით, შესწავლილი იქნა ასევე ჩივილები, დიაგნოზი, ლეტალობა და ჰოსპიტალიზაციის შემთხვევები, სამედიცინო ბარათების საფუძველზე, საქართველოს 8 რაიონის (ლანჩხუთი, ჩოხატაური, ხარაგაული, ვანი, დედოფლისწყარო, ასპინძა, ლენტეხი და ქარელი) მაშტაბით. სოფლისა და ქალაქის მაცხოვრებლებში სასწრაფო სამედიცინო სერვისის მოთხოვნა - გამოძახებების რაოდენობამ 2013 წელს შეადგინა 4424 გამოძახება, აქედან ქალაქის შემთხვევა იყო 1808 (40.9%) და სოფლის შემთხვევა კი 2616 (59.1%). 2014 წელს კი 4517 გამოძახება, აქედან ქალაქის მაცხოვრებლებში 1418 (31.4%), ხოლო სოფლის მაცხოვრებლებში 3099 (68.6%). სტატისტიკური კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გამოძახებების რაოდენობამ 2013 წელთან შედარებით მოიმატა 93 ერთეულით. შესწავლილია ასევე, ჰოსპიტალიზაციის შემთხვევები, რომელიც 2013 წელთან შედარებით მოკლებულია 6%-ით, თითქმის ყველა რაიონში თანაბარი რაოდენობით. 2013 წელთან შედარებით, 2014 წელს აღინიშნა პაციენტების მდგომარეობის გაუმჯობესების/ადგილზე მკურნალობის შემთხვევების 10.5% მომატება, ხოლო უარი ჰოსპიტალიზაციაზე, როდესაც ექიმი სთავაზობს პაციენტს ჰოსპიტალიზაციას, მაგრამ პაციენტი თავისი გადაწყვეტილებით უარს აცხადებს ჰოსპიტალიზაციაზე, 2013 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი მომატებულია 24.8%-ით. სიკვდილიანობის მაჩვენებელი 2013 წელთან შედარებით მოკლებულია 1.6%. დადგენილი იქნა სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახების 10 ძირითადი მიზეზის (დაავადების) სტრუქტურა 2013 და 2014 წლებში: არტერიული ჰიპერტენზია- 23.5 %; გრიპი, პნევმონია და ტემპერატურული რეაქცია-16.1%; გულ სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები-7.4%; ტრავმა- 7.2%; ტკივილის სინდრომი-6.8%; ნევროტულობა-3.3%; ჰიპოტენზია-3.3%; შარდ-სასქესო სისტემის დაავადებები-2.8%; ალკოჰოლური ინტოქსიკაცია-2.1%; და ზოგადი ინტოქსიკაციის-1.8% შემთხვევები. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ გამოიყენოს მის ხელთ არსებული ბერკეტები პირველადი ჯანდაცვის როლის გაზრდისთვის, რაც შეამცირებს არაგადაუდებელი გამოძახებების რიცხვს და მასთან დაკავშირებულ დანახარჯებს. არაფუნქციური გამოძახებათა რაოდენობის შესამცირებლად სარეკლამო - ინფორმაციული ინსტრუმენტების გამოყენება. არამიზნობრივი გამოძახების შესამცირებლად რეკომენდირებულია ალტერნატიული სატელეფონო-საკონსულტაციო საშუალებების დანერგვა. სამედიცინო დახმარების მართვის პროტოკოლებისა და გაიდლაინების შემუშავება. რეკომენდირებულია, რომ სამედიცინო ბრიგადების იყოს ოპტიმალურად გადანაწილებული და დაკომპლექტებული. აღნიშნული რეკომენდაციები შეამცირებს გამოძახებათა რაოდენობას და შესაბამისად გაწეულ დანახარჯებს. მნიშვნელოვანია, რომ ამ მიმართულებით განხორციელებული აქტივობები იყოს ინტენსიურ და რეგულარულ ხასიათის.

**საკვანძო სიტყვები:** სასწრაფო, საყოველთაო, სამიზნე ჯგუფები, ოპტიმალური და საქართველო.

## პაციენტთა უსაფრთხოება და მისი გაზომვის საშუალებები

ნიკოლოზ ღამბაშიძე<sup>1</sup>, ნატა ყაზახაშვილი<sup>2</sup>

საქართველოს უნივერსიტეტი, ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა

<sup>1</sup>დოქტორანტი, საზოგადოებრივი ჯანდაცვა, მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

<sup>2</sup>ხელმძღვანელი, მედიცინის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიხედვით “პაციენტთა უსაფრთხოება არის ჯანდაცვის სერვისების მიწოდება პაციენტისთვის იმ ზიანის გარეშე რომლის თავიდან აცილებაც შესაძლებელია.” არსებობს მრავალი კვლევა, რომლის მიხედვითაც ჯანდაცვაში არსებული ხარვეზები შესაძლოა თავად წარმოადგენდეს მოსახლეობის ჯანმრთელობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფრთხეს. ჯანმოს პაციენტთა უსაფრთხოების ალიანსი 2004 წლიდან მუშაობს საერთაშორისო დონეზე პაციენტთა უსაფრთხოების ხელშეწყობისთვის. უსაფრთხოების კულტურა არის ორგანიზაციული კულტურის ის ნაწილი, რომელიც უშუალოდ ეხება ორგანიზაციაში უსაფრთხოების მიმართ დამოკიდებულებას. პაციენტთა უსაფრთხოების კულტურის შეფასება ხდება უსაფრთხოების კლიმატის გაზომვით, რაც შესაძლებელია მრავალი სახვადასხვა ინსტრუმენტით. ჰოსპიტალის დონეზე ყველაზე ხშირად გამოყენებული კითხვარებია უსაფრთხოების დამოკიდებულებების კითხვარი (Safety attitudes questionnaire, SAQ), და პაციენტთა უსაფრთხოების კულტურის ჰოსპიტალური კითხვარი (Hospital Survey on Patient Safety Culture). ორივე კითხვარი ნათარგმნია მრავალ ენაზე და ფართოდ გამოიყენება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში პაციენტთა უსაფრთხოების კულტურის კვლევებში. პაციენტთა უსაფრთხოების კულტურა საქართველოში ჯერ კიდევ ჩანასახოვან დონეზეა. არის ერთეული კვლევები, რომლებიც ძირითადად ეხება პაციენტთა კმაყოფილებას. სხვადასხვა წყაროებში შეიძლება მინიმალური ინფორმაციის მოძიება სამედიცინო შეცდომების შესახებ. ვერ ხერხდება უსაფრთხოების კულტურის შეფასების შესახებ კვლევების იდენტიფიცირება. სადოქტორო კვლევის ფარგლებში 2017-2019 წლის განმავლობაში დაგეგმილია საქართველოში პაციენტთა უსაფრთხოების კულტურის პირველი ფართომასშტაბიანი კვლევა. ამ მიზნით მომზადდება ვალიდირებული ინსტრუმენტის ქართული ვერსია. დაგეგმილია მომზადებული კითხვარის აპრობაცია თბილისის რამდენიმე საავადმყოფოში. მომზადებული ინსტრუმენტით მოხდება პაციენტთა უსაფრთხოების კულტურის შეფასება საქართველოს სხვადასხვა რეგიონის პროვადირებში. აღნიშნული კვლევის ფარგლებში მომზადდება საქართველოში პაციენტთა უსაფრთხოების კვლევის, შეფასების და გაუმჯობესების პლატფორმა. მკვლევარები და ორგანიზაციები შეძლებენ მომზადებული ინსტრუმენტების გამოყენებას საავადმყოფოში პაციენტთა უსაფრთხოების კულტურის შეფასებისთვის. მიღებული მონაცემები შეიძლება გამოყენებული იქნას როგორც ნიშნული (benchmark) შედარებისა და გაუმჯობესებისათვის. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ უსაფრთხო ხარისხიანი ჯანდაცვა ღირებული და სასურველია ნებისმიერი საზოგადოებისთვის. ამ ეტაპზე არ არის ნათელი, თუ რამდენად შეუძლია საქართველოს ჯანდაცვას საზოგადოების ჯანმრთელობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. დაგეგმილი კვლევა მხოლოდ ერთი ნაბიჯია ამის გარკვევისთვის და მომავალში პაციენტთა უსაფრთხოების გაუმჯობესებისთვის.

## პაციენტთა უსაფრთხოების გარანტიები საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში

სალომე გუდავაძე<sup>1</sup>, ოთარ ვასაძე<sup>2</sup>

საქართველოს უნივერსიტეტი, ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა

<sup>1</sup>მაგისტრი, ჯანდაცვის ადმინისტრირება; <sup>2</sup>ხელმძღვანელი, მედიცინის აკადემიური დოქტორი,

პროფესორი

2006 წელს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო რეკომენდაცია „პაციენტთა უსაფრთხოების მართვა და არასასურველი მოვლენების პრევენცია ჯანდაცვაში“, რომლითაც წევრ სახელმწიფოებს მოუწოდა შეემუშაებინათ პაციენტთა უსაფრთხოების პოლიტიკის თანმიმდევრული და ამომწურავი საკანონმდებლო ჩარჩო, ხელი შეეწყობთ პაციენტთა უსაფრთხოების შემთხვევების შეტყობინების სისტემის დანერგვისთვის, სასწავლო პროგრამების შემუშავებისთვის, პაციენტთა უსაფრთხოების სარწმუნო მაჩვენებლების დადგენისა და რეგულარული ანგარიშების წარმოებისთვის. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობაში პაციენტის უსაფრთხოებაზე, როგორც ცალკე აღებულ დეფინიციაზე, ყურადღება გამახვილებული არ არის, ხოლო პაციენტის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ცალკეულ კომპონენტები (სამედიცინო აღჭურვილობის უსაფრთხოება, სამედიცინო დაწესებულების შიდა გარემოს უსაფრთხოება, მცდარი სამედიცინო ქმედება და ა.შ.) მხოლოდ ნაწილობრივად რეგულირებული. საქართველოს კანონმდებლობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, კანონებს: „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“, „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“, „საექიმო საქმიანობის შესახებ“, „პაციენტის უფლებების შესახებ“ ჯანდაცვის საკანონმდებლო ბაზა მოიცავს რიგ ბრძანებებსა და დადგენილებებს სამედიცინო მომსახურების პროცესთან ასოცირებული რისკებისა და პაციენტთა უსაფრთხოების ღონისძიებების შესახებ: საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის ბრძანება №128/ნ (02.10.2000) - „სამედიცინო ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“, საქართველოს მთავრობის დადგენილება № 385 (17.12.2010) - „სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონარული დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“. ნებართვის მაძიებელმა ნებართვის მისაღებად „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლით განსაზღვრულ დოკუმენტაციასთან ერთად დამატებით უნდა წარადგინოს: ფართობის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ გაცემული ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზია რადიოლოგიური მომსახურების( მათ შორის, კომპიუტერული კვლევა და რენტგენოლოგიური დიაგნოსტიკა) განხორციელების შემთხვევაში (1998 წელს ხელი მოეწერა საქართველოს კანონს „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“). ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებაში № 01-63/ნ (12.09.2012) - „სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების და პაციენტთა უსაფრთხოების შეფასების შიდა სისტემის ფუნქციონირების შესახებ“ ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ხარისხის მართვის სისტემამ კონტროლი და მონიტორინგი უნდა განახორციელოს სანებართვო პირობების შესრულებაზე, ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის გამართულ მუშაობაზე, სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციაზე, სანიტარულ-ჰიგიენური და ეპიდსაწინააღმდეგო რეჟიმის უზრუნველყოფაზე. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებას №01- 25/ნ (19.06.2013) - „სამედიცინო ჩარევების კლასიფიკაციის განსაზღვრისა და პირველადი ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულების მინიმალური მოთხოვნის დამტკიცების შესახებ“ ასევე გათვალისწინებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა. საქართველოს მთავრობის დადგენილებით №64 (15.01.2014) - „ტექნიკური რეგლამენტი - სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ნარჩენების შეგროვების, შენახვისა და გაუვნებლების სანიტარული წესების დამტკიცების შესახებ“ სავალდებულოა, რომ თითოეული დაწესებულების მიერ შემუშავდეს ნარჩენების შეგროვებისა და გატანის დეტალური გეგმა. ჯანდაცვის მინისტრის ბრძანება N01-38/ნ (2015 წლის 7 სექტემბერი) ნოზოკომიური ინფექციების ეპიდზედამხედველობის პრევენციისა და კონტროლის წესების დამტკიცების შესახებ, განსაზღვრავს ნოზოკომიური ინფექციების ეპიდზედამხედველობის, პრევენციისა და კონტროლის განხორციელების წესს სამედიცინო სერვისების მიმწოდებელთათვის.

## პერსონალის უსაფრთხოება საქართველოს საავადმყოფოებში

ნონა მალრაძე<sup>1</sup>, ოთარ ვასაძე<sup>2</sup>

საქართველოს უნივერსიტეტი, ჯანმრთელობის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა

<sup>1</sup>დოქტორანტი, საზოგადოებრივი ჯანდაცვა; <sup>2</sup>ხელმძღვანელი, მედიცინის აკადემიური დოქტორი, პროფესორი

სამედიცინო დაწესებულებებში პერსონალის უსაფრთხოება ერთერთი აქტუალური საკითხია, როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოს მასშტაბით. ამ მიმართულებით წარმატებული მუშაობის ძირითად პირობას წარმოადგენს საავადმყოფოებში პერსონალის უსაფრთხოების პროგრამის დანერგვა და შესაბამისი პროცესების მონიტორინგი. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე აქტუალურია ჩვენს რეალობაში აღნიშნული პრობლემის შესწავლა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავება საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. კვლევის მეთოდოლოგია: თბილისის საავადმყოფოებში ჩატარდა პირისპირ ინტერვიუება დაწესებულებების ადმინისტრაციასთან, ხოლო პაციენტების ან მათი თანმხლები პირებისთვის შემუშავებული კითხვარით გამოკითხვა მოხდა სოციალური ქსელის მეშვეობით. გამოკვლევის ერთ მიმართულებას შეადგენდა იმის შესწავლა თუ რამდენად ფლობენ სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელები ინფორმაციას პერსონალის უსაფრთხოების შესახებ და ხდება თუ არა მისი პრაქტიკაში დანერგვა. გამოკითხულ იქნა 20 სამედიცინო დაწესებულება, ხოლო სოციალური ქსელში (facebook) გამოქვეყნებულ კითხვარს გამოეხმაურა 88 რესპოდენტი. კვლევის შედეგებმა ცხადყო: გამოკითხული სამედიცინო დაწესებულების უმეტესობაში (75%) არ არსებობს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც მიზანმიმართულად და კომპლექსურად მუშაობს უსაფრთხოების საკითხებზე. დამსაქმებლების უმეტესობა (90%) არ იცნობს ან გათვითცნობიერებულად არღვევს ვალდებულებებს დამსაქმებლის ხარჯზე თანამშრომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების პერიოდული კონტროლის შესახებ. არ ხდება მაღალი რისკის მქონე განყოფილებების თანამშრომლების ვაქცინაციის დაგეგმვა და მონიტორინგი. საავადმყოფოებში არ აქვთ დეტალურად გაწერილი სამუშაო ინსტრუქციები და თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები. პერსონალის სწავლების პროცესი არ არის სისტემატიზირებული და მას წინ არ უძღვის საჭიროების ანალიზი. საქართველოში პერსონალის უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით არ არსებობს თანამედროვე მოთხოვნებისა და ტენდენციების სრულყოფილი სამართლებრივი ბაზა. სანებართვო პირობების მოთხოვნებიდან გამომდინარე საავადმყოფოებში ფუნქციონირებს სამედიცინო მომსახურების ხარისხის კომიტეტი.

**საკვანძო სიტყვები:** პერსონალის უსაფრთხოება, სამედიცინო დაწესებულებები.

## მედიკამენტების საბითუმო ფასებზე მოქმედი შიდა ფაქტორები ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე (მიმოხილვითი კვლევა)

ზურაბ კიკვიძე<sup>1</sup>, ელზა ნიკოლეიშვილი<sup>2</sup>

